

# სოფლის მეურნეობის სტრატეგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო



პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის -- „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების,, (G-PAC) ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. კვლევა არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



# სოფლის მეურნეობის სტრატეგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო



პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში მომზადებული მასალების შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელი არიან პროექტის განმასხორციელებელი ორგანიზაცია და ეს შინაარსი შეიძლება არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWMI-ს შეხედულებებს.

# სარჩევი

პროექტის შესახებ.....	5
ძირითადი მიგნებები .....	5
მეთოდოლოგია.....	8
შესავალი .....	9
სამიზნე ქვეყნების მიმოხილვა .....	11
მაკედონია .....	12
სერბეთი .....	17
ხორვატია.....	21
ალბანეთი .....	25
ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები - მთავარი ცვლილებები .....	28
<b>სოფლის მეურნეობის დარგების მხარდაჭერის ღონისძიებები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.....</b>	<b>31</b>
მხარდაჭერის ღონისძიებები - ღვინო და ყურძენი .....	32
მხარდაჭერის ღონისძიებები - ახალი ბოსტნეული და გადამამუშავებული ბოსტნეული .....	33
მხარდაჭერის ღონისძიებები - ხილი, კენკროვანი ხილი და ციტრუსები .....	35
მხარდაჭერის ღონისძიებები - მეცხოველეობა, რძის/საქონლის ხორცის წარმოება .....	36
<b>დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოსთვის .....</b>	<b>37</b>
ზოგადი რეკომენდაციები .....	37
საერთო სტანდარტები და კლასიფიკაცია .....	40
დარგების დონე.....	41

## პროექტის შესახებ

წინამდებარე ანგარიში, „სოფლის მეურნეობის სტრატეგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო“, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRC) მოამზადა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

ანგარიშში მიმოხილულია მაკედონიის, სერბეთის, ხორვატიისა და ალბანეთის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების გამოცდილება. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ანგარიშში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც სასარგებლო იქნება საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის და კონკრეტული დარგების (მელვინეობა და მევენახეობა, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება, ხილის, კენკროვნების, ციტრუსის მოყვანა, რძისა და ხორცის წარმოება) განვითარებისთვის.

წინამდებარე ანგარიში, შესაძლოა, სასარგებლო იყოს საქართველოს მთავრობისთვის სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი სახელმწიფო სტრატეგიის შესამუშავებლად.

## ძირითადი მიზნები

- სოფლის მეურნეობის სექტორის წილი ანგარიშისთვის შერჩეული ქვეყნების ეკონომიკაში მცირდება და სხვა საწარმოო სექტორების განვითარების და ეკონომიკის ტრანსფორმაციის ტენდენციების ფონზე. თუმცა, ეს სექტორი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განხილული ქვეყნების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. ალბანეთში, სერბეთსა და მაკედონიაში სოფლის მეურნეობის წილი მაღალია მთლიან დამატებით ღირებულებასა და დასაქმებაში;
- არჩეული ქვეყნების სოფლის მეურნეობის საერთო დამახასიათებელი ნიშანი მცირე ზომის, ფრაგმენტირებული მეურნეობებია;
- ცალკეულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა ძირითადად ბოლო ათი წლის განმავლობაში მოსავლის მატებამ განაპირობა. თუმცა, პროდუქტიულობის დონით, ისინი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებიან ევროკავშირის ქვეყნებს. სოფლის მეურნეობის სექტორის შემდგომი განვითარება უმეტესად დამოკიდებულია პროფესიონალი ფერმერების ფენის ჩამოყალიბებაზე, რომელთათვისაც რესურსები, საინვესტიციო კაპიტალი და დახმარება მოდერნიზაციისთვის უფრო ხელმისაწვდომი იქნება;

- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობები სოფლის მეურნეობასა და სურსათის სექტორში არსებული პრობლემების მოგვარებას გარდამავალი პერიოდის დასაწყისიდანვე შეუდგნენ. ინტერვენციების პირველი ფაზა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებზე მყისიერ რეაგირებას ითვალისწინებდა, ფერმერებისთვის პირველადი დახმარების და ძირითადი საწარმოო საშუალებების უზრუნველყოფის გზით. მეორე ფაზა კომერციალიზაციის მთავარი შეზღუდვების მოხსნისკენ იყო მიმართული. ახლა, ამ ქვეყნების ამოცანაა სოფლის მეურნეობის და სურსათის სექტორის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას ევროკავშირი სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის შესაბამისად, ორფაზიანი სისტემის გამოყენებით უწყობს ხელს. პირველი ფაზა ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ჩამოყალიბებას და შემოსავლების გენერირებას. ამ მხარდაჭერის მთავარი მექანიზმი პირდაპირი დაფინანსებაა, რომელიც არ არის მიბმული რომელიმე კონკრეტული პროდუქტის წარმოებასთან. მეორე ფაზა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტულობის ამაღლებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის შესაძლებლობების ზრდას სოფლის განვითარების პროგრამის მეშვეობით. ეს უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრალური საკითხი;
- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სოფლის მეურნეობის და სურსათის სექტორებს აფინანსებდნენ ეროვნული ბიუჯეტებიდან და ევროკავშირში გაწევრიანების წინ მიღებული დახმარებიდან. ზოგმა ქვეყანამ უფრო წარმატებით შეძლო ტრანსფორმაცია, ზოგმა – ნაკლებად. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ძირითადად პირველი ფაზის ღონისძიებებს იყენებდნენ, რომლებიც კონკურენციის ზრდასა და სოფლის განვითარებას ნაკლებად უწყობს ხელს მაშინ, როდესაც მეორე ფაზის ღონისძიებები მდგრადი და კონკურენტული სოფლის მეურნეობის განვითარებას უწყობს ხელს. ეს უკანასკნელი არ ითვალისწინებს ფერმერების პირდაპირ დაფინანსებას, თუმცა გრძელვადიანი კონკურენციის საფუძველს ქმნის და ამ ღონისძიებების შედეგად ბენეფიციარების უფრო ფართო სპექტრი სარგებლობს გრძელვადიან პერსპექტივაში;
- ქვეყნებმა, რომლებმაც პირველი ფაზის ღონისძიებები გამოიყენეს მეორე ფაზის ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უფრო წარმატებით შეძლეს ტრანსფორმაცია, ვიდრე იმ ქვეყნებმა, რომლებიც ძირითადად პირველი ფაზის ღონისძიებებს იყენებდნენ. გარდა ამისა, შედარებით წარმატებულმა ქვეყნებმა თავიანთი მხარდაჭერის პოლიტიკა კონკურენციის გაძლიერებისკენ მიმართეს და განსაკუთრებული ყურადღება მცირე ზომის, ფრაგმენტირებული მეურნეობების პრობლემის დაძლევის მიანიჭეს, რისთვისაც კომერციალიზაციის გაძლიერების მექანიზმები დანერგეს;
- იმ ქვეყნებში, სადაც ძირითადად პირველი ფაზის ღონისძიებებს იყენებდნენ, პოზიტიური ცვლილება იყო ის, რომ ამ ქვეყნებმა შეწყვიტეს მხარდაჭერის ღონისძიებების რომელიმე კონკრეტული პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირება, გადავიდნენ ჰექტრების და სულადობის მიხედვით დაფინანსების სქემაზე და მხარდაჭერის ეს ღონისძიებები ისეთ საკითხებს დაუკავშირეს, როგორებიცაა სურსათის უვნებლობა,

ჯიშების გაუმჯობესება, ხარისხი და სხვა. ამან შესაძლებელი გახადა სუბსიდიების მიმართვა მომხმარებელთა დაცვის და კონკურენტულობის გაუმჯობესებისკენ;

- ევროკავშირთან შედარებით, სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დახმარება შერჩეულ ქვეყნებში მცირეა; გამონაკლისს მხოლოდ ხორვატია წარმოადგენს, სადაც სოფლის მეურნეობის სექტორი ევროკავშირის საშუალო დონესთან მიახლოებულია სუბსიდიებით და საბიუჯეტო დახმარებით. ექსპორტის სუბსიდირება მხოლოდ სერბეთში ხდება. ხორვატია და მაკედონია, ევროკავშირის წესების შესაბამისად, პირდაპირი დაფინანსების სქემებს იყენებენ და სექტორის დახმარება უმთავრესად გამიზნულია რესტრუქტურზაციისა და მოდერნიზაციისთვის საინვესტიციო მხარდაჭერის მეშვეობით;
- სამიზნე ქვეყნებსა და საქართველოში მევენახეობის მხარდაჭერის ღონისძიებების შედარება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ სამიზნე ქვეყნები ბევრად უფრო კომპლექსურ, ფუნდამენტურ ღონისძიებებს ახორციელებენ, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესებას, მოცულობის ზრდას, საერთაშორისო ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას. საქართველო მხოლოდ ყურძნის მოსავლის სუბსიდირებაზე იყო ფოკუსირებული – რაც გამოიხატებოდა ღვინის ქარხნებისთვის ფინანსური დახმარების გაწევით და ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზარზე აქტიური რეკლამირებით;
- სამიზნე ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ახალი ბოსტნეულისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების ხელშეწყობის ღონისძიებები ბოლო 10-15 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. მიგვაჩნია, რომ ეს კონკრეტული დარგი იმ რამდენიმე დარგთაგანია, რომელსაც შედარებითი უპირატესობა აქვს. სამიზნე ქვეყნებთან მსგავსების გათვალისწინებით, რაც სოფლის მეურნეობის დარგების ერთგვაროვანი სტრუქტურით და პირველადი წარმოების ფრაგმენტაციით გამოიხატება, მიგვაჩნია, რომ მაკედონიასა და ალბანეთში განხორციელებული ღონისძიებები შესაფერისია საქართველოსთვის. ეს ღონისძიებები ითვალისწინებს სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერას მათი მოდერნიზაციისა და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად;
- ხილის წარმოების თვალსაზრისით, საქართველოში არსებული მდგომარეობა ბოსტნეულის წარმოების მდგომარეობის მსგავსია. სამთავრობო პოლიტიკის პრიორიტეტს მხოლოდ ციტრუსები, უმთავრესად კი, მანდარინი წარმოადგენდა. მანდარინის წარმოების თვალსაზრისით ხორვატიის გამოცდილება განსაკუთრებით ღირებულია. საქართველოში მანდარინის ქვედარგი საკმაოდ ჩამორჩება საერთაშორისო ბაზრებისთვის მისაღები ხარისხის სტანდარტებს. სუბსიდირება და/ან ფინანსური დახმარების სხვა სახის ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს დადებით შედეგს თუ მოსავლის ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდება. ამიტომ, ამ ქვედარგის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია მხარდაჭერის ისეთი სპეციფიკური ღონისძიებების განხორციელება, როგორებიცაა ფერმერთა განათლება, კოოპერაციის წახალისება, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბაზის გაუმჯობესება;
- საქართველო რძისა და ხორცის წმინდა იმპორტიორია. მხოლოდ ფრინველის და კვერცხის ნაწარმი აკმაყოფილებს ნაწილობრივ ადგილობრივ მოთხოვნას. საჭიროა ისეთი საბაზისო საკითხების მოგვარება,

როგორებიც არის საქონლის რეესტრის წარმოება და ვეტერინარული სამსახურის განვითარება, რათა ხელი შეეწყოს დარგის განვითარებას. ამ მხრივ საქართველოსთვის სერბეთის და ალბანეთის მაგალითები მისაბაძია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების ტექნოლოგიების, საქონლის მოშენების და კვების, და საქონლის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას;

- აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიღწევებისა და წარუმატებლობების გათვალისწინებით, საქართველომ კომპლექსური მიდგომა უნდა აირჩიოს და მხარდაჭერის ისეთი ღონისძიებები შეიმუშაოს, რომელთა მეშვეობითაც დახმარება დაბალანსებულად იქნება ფოკუსირებული მცირე ზომის ფერმერების კომერციალიზაციაზე, წარმოებაზე, გადამუშავებაზე, მომსახურების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე, საჯარო მომსახურების გაფართოებაზე და სოფლად არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლის გენერირების აქტივობების განვითარებაზე;
- კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც პირველადი წარმოების ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს, მიწის ფრაგმენტაციაა. ეს პრობლემა ყველა სამიზნე ქვეყანას ჰქონდა (თუმცა ფრაგმენტაციის ხარისხი საქართველოში ბევრად მაღალია). აუცილებელია ფერმერთა რეესტრის წარმოება და ფორმალიზებული მიწის ბაზრის ჩამოყალიბება. მთავრობამ დახმარება უნდა გაუწიოს ფერმერთა ან სხვა ფორმის კოოპერატივების განვითარებას;
- სექტორის კომერციალიზაცია განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. საწარმოო ჯაჭვის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მარტივი სტრუქტურა დომინირებს განსაკუთრებით ხილისა და ბოსტნეულის წარმოებაში.

## მეთოდოლოგია

საერთაშორისო გამოცდილების შერჩევასა და განვითარების წინადადებას ეკონომიკის ტიპი, მოსახლეობის რაოდენობა, სოფლის მეურნეობის დარგების მსგავსება და განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმები. შედეგად, არჩევანი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის შემდეგ ქვეყნებზე შევარჩიეთ: მაკედონია, სერბეთი, ხორვატია და ალბანეთი. ხორვატიის გარდა, შერჩეული ქვეყნებიდან არც ერთი არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ხორვატიაც კი, რომელიც ევროკავშირში 2013 წელს გაწევრიანდა, წინამდებარე ანგარიშში არ განიხილება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოდ, ვინაიდან აქ მიმოხილულია ამ ქვეყნების განვითარების ბოლო ათი წელიწადი. სამიზნე ქვეყნების გარდა, ანგარიშში ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების მოკლე ანალიზიც არის შემოთავაზებული. ევროკავშირის ზოგი ახალი წევრი ქვეყნის გამოცდილება დარგების განვითარებაში, შესაძლოა, ასევე მნიშვნელოვანი იყოს საქართველოსთვის. რიგი ქვეყნების მონაცემები მოცემულია სხვადასხვა წლებში, თუმცა მათი შედარება, გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისით, რელევანტურია. სოფლის მეურნეობის სექტორის



ზოგადი შეფასების შემდეგ, თითოეული სამიზნე ქვეყნიდან ერთი ან ორი დარგი შეირჩა, რომელიც უფრო დეტალურად არის მიმოხილული.. ეს დარგები შემდეგი ინდიკატორის მიხედვით შეირჩა:

- წამყვანი საექსპორტო დარგები (ღირებულების და მოცულობის თვალსაზრისით);
- ახალი დარგები, რომლებსაც დიდი პოტენციალი აქვთ;
- დარგები, რომლებშიც საქართველოში კონკურენტული უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს.

## შესავალი

წინა ანგარიშში განვიხილეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობა დარგობრივი პროგრამის შემუშავების თვალსაზრისით. საქართველოში განხორციელებული პროგრამები ძალიან სასარგებლო ინფორმაციას იძლევა ანალიზისთვის. ამავე დროს, ქვეყნის სოფლის მეურნეობის გარდამავალი ხასიათის გათვალისწინებით, ეს ინფორმაცია ყოველთვის რელევანტური არ არის. ზოგადი სექტორული ან დარგობრივი სტრატეგიის შემუშავებისთვის აუცილებელია, დადგინდეს სექტორის მთავარი გამოწვევები და ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, განისაზღვროს ამ გამოწვევების დაძლევის გზები. არსებული მდგომარეობის გაანალიზების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომლებიც, ჩვენი აზრით, სექტორის განვითარებას აფერხებს:

- ფორმალური, სტრუქტურირებული მიწის ბაზრის არარსებობა;
- მიწების ფრაგმენტაცია;
- მოძველებული ინფრასტრუქტურა;
- ეფექტიანი ფინანსური ინსტრუმენტების ნაკლებობა;
- ტექნოლოგიების/„ნოუ-ჰაუს“ არარსებობა.

ეს ფაქტორები მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. მსგავსი პრობლემები სხვადასხვა ქვეყანაში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვა.

ცხრილში #1 ნაჩვენებია სამიზნე ქვეყნების და საქართველოს ძირითადი სტატისტიკური მონაცემები. სამიზნე ქვეყნების მონაცემები აღებულია 2009, 2010 და 2011 წლების მსოფლიო სტატისტიკური ცნობარიდან - World Factbook. საქართველოს ინდიკატორები აღებულია საქსტატის 2011 წლის მონაცემებიდან.

**ცხრილი 1: ძირითადი სტატისტიკური მონაცემები**

	მაკედონია	სერბეთი	ხორვატია	ალბანეთი	საქართველო
მოსახლეობა	2,082,370	7,276,604	4,480,043	3,002,859	4,469,200
ქალაქის მოსახლეობა	59%	56%	58%	52%	53%
სოფლის მოსახლეობა	41%	44%	42%	48%	47%
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)*	4,962	5,964	14,435	4109	3230
მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP (აშშ დოლარი)**	11,749	11,731	20,286	9,121	5,417
სოფლის მეურნეობის წილი მთლიან მშპ-ში, %	10%	11%	5%	21%	8.8%
სამუშაო ძალა, სულ	942,400	2,920,000	1,717,000	1,053,000	1,959,300
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი, სამუშაო ძალის %	20%	22%	5%	48%	45%
უმუშევართა წილი, სამუშაო ძალის %	31.00%	23.40%	17.70%	13.30%	15.1%
ფართობი, სულ	2,571,000 ჰა	8,836,000 ჰა	5,659,000 ჰა	2,875,000 ჰა	6 970 000 ჰა
სასოფლო სამეურნეო მიწა, სულ	1,076,000 ჰა	5,055,000 ჰა	1,300,000 ჰა	1,204,029 ჰა	3,023,500 ჰა***

\* მსოფლიო ბანკის 2011 წლის მონაცემები. \*\* მსოფლიო ბანკის 2011 წლის მონაცემები. \*\*\* საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის მონაცემები.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის რაოდენობის და მოსახლეობის ქალაქად და სოფლად განაწილების მონაცემებით, სამიზნე ქვეყნებსა და საქართველოს შორის მეტ-ნაკლები მსგავსება არსებობს. ერთი მხრივ, აშკარაა მნიშვნელოვანი განსხვავება ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიხედვით, განსაკუთრებით მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შემთხვევაში (PPP). ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი, სამუშაო ძალის მთლიანი რაოდენობა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი, შესაძლოა, საუკეთესო და ყველაზე ადვილი გზა იყოს ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების დონეების შეფასებისა და შედარებისთვის. ასეთ შემთხვევაში, ევროკავშირის სტანდარტებთან ყველაზე ახლოს ხორვატია, ხოლო ყველაზე შორს საქართველო და ალბანეთი დგანან.

## სამიზნე ქვეყნების მიმოხილვა

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში სამიზნე ქვეყნების ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა ვიდრე ევროკავშირის ეკონომიკა, რომლის მშპ-ის საშუალო ზრდის ტემპი 2.7%-სა და 6.1%-ს შორის მერყეობდა (შედარებისთვის, 27-წევრიანი ევროკავშირის ზრდის ტემპი 2%-ა). ხორვატიის მშპ ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის ზოგი ახალი წევრი ქვეყნის დონეს უახლოვდებოდა ან აღემატებოდა. სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში მცირდებოდა სხვა საწარმოო სექტორების განვითარების და ეკონომიკის ტრანსფორმაციის ტენდენციების გამო. თუმცა, სოფლის მეურნეობის სექტორი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განხილული ქვეყნების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. სოფლის მეურნეობის წილი მთლიანი დამატებითი ღირებულების შექმნასა და დასაქმებაში მაღალია ალბანეთში, სერბეთსა და მაკედონიაში. ყველა განხილულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების ბუნებრივი პოტენციალი მაღალია, თუმცა, ბევრ შემთხვევაში ეს პოტენციალი არ არის სრულად ათვისებული როგორც ტექნოლოგიების გამოყენების, ასევე დამატებითი ღირებულების შექმნის თვალსაზრისით. ყველა სამიზნე ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებად ხელსაყრელ ფართობებად არის მიჩნეული, რისი შემსუბუქებაც მაღალი ღირებულების მქონე კულტურების მოყვანით და სოფლის მეურნეობის ისეთი სექტორების განვითარებით ხდება, რომელიც შედარებით ჭარბ ადამიანურ რესურსს მოითხოვს.

სოფლების დეპოპულაციის და სოფლის მოსახლეობის დაბერების გლობალური ტენდენციები ყველა სამიზნე ქვეყანაში აღინიშნება, რაც სოფლად სამუშაო ძალის შემცირებას იწვევს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს დეპოპულაცია შეიძლება მომავალში პროდუქციის მოცულობაზე აისახოს. ამავე დროს, მთლიან მოსახლეობაში სოფლად მცხოვრებთა მაღალი წილი და სოფლის განვითარების ღონისძიებები ნეგატიურ ეფექტებს შეამცირებს. გარდა ამისა, ყველა სამიზნე ქვეყანა, თავიანთი მცირე ზომიდან გამომდინარე, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში ურბანული მოსახლეობის ნაწილობრივ ჩართულობას დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით.

ყველა ამ ქვეყნის დამახასიათებელი ნიშანი მცირე ზომის, ფრაგმენტირებული მეურნეობებია, მაგრამ კონტროლირებადი დეპოპულაციის გათვალისწინებით, მათი პროდუქტიულობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა, ძირითადად, ბოლო ათი წლის განმავლობაში მოსავლის მატებამ განაპირობა. თუმცა, პროდუქტიულობის დონე ევროკავშირისას ბევრად ჩამოუვარდება. სოფლის მეურნეობის სექტორის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პროფესიონალი ფერმერების ფენის ჩამოყალიბებაზე, რომლისთვისაც უფრო ხელმისაწვდომი იქნება რესურსები, საინვესტიციო კაპიტალი და დახმარება მოდერნიზებისთვის. განხილული ქვეყნების მოსახლეობას ტრადიციულად უფრო ღრმა კავშირები აქვს სოფელთან და სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან. ცხადია, რაც უფრო ხელმისაწვდომი იქნება ფონდები სოფლის მეურნეობაში ინვესტირებისთვის, მით უფრო განვითარდება წარმოება და გაიზრდება პროდუქცია. თუმცა, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებში ან ადგილობრივ მწარმოებლებთან ერთობლივი საწარმოების მეშვეობით ინვესტირებას, პირველადი წარმოების ფრაგმენტაცია სხვა ინვესტიციების შესაძლებლობებს ზღუდავს.

პირველადი წარმოების მოდერნიზაციისთვის პირობების შექმნა მოსავლის მოცულობას გაზრდის და ნეგატიურ ტენდენციებს (დეპოპულაცია, სოფლის მოსახლეობის დაბერება, დამატებითი ღირებულების შექმნის არარსებობა და სხვა) შეამსუბუქებს, ხოლო ფერმერთა რაოდენობის შემცირება დარჩენილ ფერმერებს შემდგომი სპეციალიზაციის და განვითარების შესაძლებლობებს გაუჩენს.

ევროკავშირთან შედარებით, სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დახმარება სამიზნე ქვეყნებში მცირეა; გამონაკლისს მხოლოდ ხორვატია წარმოადგენს, სადაც სოფლის მეურნეობის სექტორი ევროკავშირის საშუალო დონესთან მიახლოებული სუბსიდიებით და საბიუჯეტო დახმარებით არის უზრუნველყოფილი. სასაზღვრო დაცვა გამოიყენება, თუმცა მისი ეფექტიანობა შეზღუდულია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გამო (ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ევროკავშირი). ექსპორტის სუბსიდირება მხოლოდ სერბეთში ხდება. ხორვატია და მაკედონია პირდაპირი დაფინანსების სქემებს იყენებენ ევროკავშირის წესების შესაბამისად. სოფლის განვითარების დახმარება უმთავრესად გამოიხატება სოფლის მეურნეობის რესტრუქტურირებისა და მოდერნიზაციისთვის საინვესტიციო მხარდაჭერის მეშვეობით.

## მაკედონია<sup>1</sup>

### მემცენარეობა

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 151,528 ჰექტარი (38%) **მარცვლეული კულტურებით** არის დათესილი. ყველაზე გავრცელებული კულტურა ხორბალია, რომლის წილიც 49%-ს შეადგენს (95,406 ჰა 2010 წელს); შემდეგ მოდის ქერი და სიმინდი. ყველა მარცვლეული კულტურის საშუალო მოსავლიანობა, ჩვეულებრივ, მცირეა. მაკედონია ხორბლის წმინდა იმპორტიორია.

ტექნიკური კულტურებით დათესილი მთლიანი ფართობის 78% თამბაქოზე მოდის. მზესუმზირა მთლიანი ფართობის 19.5%-ზე, ხოლო ყაყაჩო - 2.5%-ზე მოჰყავთ. აღმოსავლური არომატული მცირეფოთლოვანი თამბაქოს მოყვანა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ნედლი თამბაქოს ნაწარმი ექსპორტზე იგზავნება და მისი ღირებულება 72 მილიონ ევროს აღწევს (2010 წელს). 2010 წელს თამბაქო 42,620 შინამეურნეობას 18,846 ჰექტარზე მოჰყავდათ. მთლიანი წარმოება მზარდი ტენდენციით ხასიათდება (44%-ით 2009 წელს და 11%-ით 2010 წელს).

საქონლის საკვები კულტურები, რომლებიც 28,534 ჰა ფართობზე მოჰყავთ (მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 9%), ადგილობრივი მოთხოვნის მხოლოდ 30-35% აკმაყოფილებს. 2010 წელს წარმოებული საკვები კულტურების მოცულობამ თითქმის 213,700 ტონა შეადგინა. საქონლის საკვები კულტურების არასაკმარისი წარმოება მეცხოველეობის სექტორის ერთ-ერთი შემზღუდველი ფაქტორია.

<sup>1</sup> მაკედონიის ყველა მონაცემი ეფუძნება მაკედონიის სოფლის მეურნეობის, მეტყვეობისა და წყლის მეურნეობის სამინისტროს 2010 წლის სტატისტიკას; სხვა შემთხვევაში წყარო მითითებულია.

**ბოსტნეულის მოყვანა**, განსაკუთრებით ადრეული ბოსტნეული კულტურების მოყვანა, მაკედონიის სოფლის მეურნეობის სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია. ბოსტნეული მთელი ქვეყნის მასშტაბით მოჰყავთ. მისი წარმოება 46,414 ჰექტარზე ხდება (2010) ღია მინდვრებისა და დახურული სივრცეების ჩათვლით, მათ შორის 216 ჰექტარზე მინის სათბურებში და დაახლოებით 3,832 ჰექტარზე პლასტკატიის ე.წ. გვირაბებში.

წარმოება ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებშია კონცენტრირებული, სადაც ხმელთაშუაზღვისპირა და ზომიერი კონტინენტური კლიმატია.

2010 წელს ადრეული ბოსტნეულის წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოსავლის 80% რეგიონულ ბაზრებზე იქნა ექსპორტირებული.

საბამთრო და ნესვი 5,732 ჰა ტერიტორიაზე მოჰყავთ; ამ კულტურების მოსავალმა 2010 წელს 134,885 ტონა შეადგინა.

**ცხრილი 2: ბალჩა-ბოსტნეული კულტურების წარმოება**

კულტურა	ტერიტორია, ჰა			წარმოება, ტონა			მოსავალი ტონა/ჰა		
	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008
პომიდორი	4.940	5.284	4.613	122.795	107,053	113,944	24.8	20.3	24.7
წიწაკა	6.914	6.567	5,980	108.922	99.934	114.040	15.8	15.2	19.0
სამრეწველო წიწაკა	2.236	2.035	2.438	39.600	32.401	46.808	17.7	15.9	19.2
ნესვი	6.053	5.891	5.751	150.069	140,046	132.310	24.8	23.8	23.0
კარტოფილი	11.611	11.060	11.144	227.868	193,393	206.592	19.6	17.5	18.5
ლობიო	10.250	11,224	9,647	11,020	9.050	10,226	1.07	0.8	1.06

წყარო: მაკედონიის სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და წყლის მეურნეობის სამინისტრო.

**ხილის წარმოებას** სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის 2.75% უკავია, ანუ დაახლოებით 14,000 ჰა თითქმის 9,000,000 ნარგავით. ქვეყანაში ხეხილის საშუალო ბალის ზომა 3 ჰექტრამდეა. მთელი ხეხილის ბაღების 84% კერძო სექტორის მფლობელობაშია. ყველაზე გავრცელებული ხილის სახეობებია: ვაშლი, რომელზეც ხეხილის ბაღების დაახლოებით 62% მოდის; ქლიავი - 13%; ალუბალი - 7%; ატამი - 7%; სუფრის ყურძენი - 7% და ხილის სხვა სახეობები (მსხალი, გარგარი, ნუში, კაკალი და სხვ.), რომლებსაც ხეხილის ბაღების 4% უკავია. ყოველწლიურად მაკედონიაში დაახლოებით 155,000 ტონა ხილი მოდის. ვაშლის წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ტერიტორიები რესენის და ოჭრიდის ტბის რეგიონებია, სადაც ქვეყნის მთლიანი ვაშლის პროდუქციის 90% მოჰყავთ.

### ცხრილი 3: ხილის წარმოება (ტონა)

წელი	2006	2007	2008	2009	2010
ვაშლი	88	93	124	92	90
მსხალი	9	9	8	2	3
ქლიავი	26	19	33	12	28
ალუბალი	7	10	9	12	11
ატამი	12	10	11	8	9,5

წყარო: მაკედონიის სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და წყლის მეურნეობის სამინისტრო.

**მეცხოველეობის** არსებული სტრუქტურა შედგება ბევრი ინდივიდუალური მეურნეობისგან, რომლებიც პროდუქტს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ, და მცირე რაოდენობით კომერციული ფერმებისა და მსხვილი საწარმოებისგან.

**მსხვილფეხა საქონლის** მოშენება მეცხოველეობის ერთ-ერთი მთავარი დარგია, რომელიც ძირითადად მთავარი რეგიონებშია კონცენტრირებული. ცხოველების სტრუქტურა ძირითადად მოიცავს სარძევე მსხვილფეხა საქონლის ჯიშებს: ჰოლშტინ-ფრიზენის ჯიში - 41.8%; ბუშა - 12%; სიმენტალი - 5% და სხვა.

რძის წარმოება მაკედონიაში ადგილობრივ საჭიროებებს აკმაყოფილებს. სარძევე საქონელი მთლიანი მსხვილფეხა საქონლის 35%-ს, ანუ 93,500 სულს შეადგენს. 2010 წელს, 136,472 ტონა ძროხის რძე გადამამუშავებელმა საწარმოებმა შეიძინეს. 948 ტონა საქონლის ხორცის წარმოება ვერ აკმაყოფილებს სამომხმარებლო მოთხოვნას. 2010 წელს ქვეყანაში დაახლოებით 10,144 ტონა საქონლის ხორცის იმპორტი განხორციელდა.

მაღალმთიან საძოვრებს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების ნახევარზე მეტი უკავია და **ცხვრის წარმოების** საუკეთესო ბაზას წარმოადგენს. ცხვრების სულადობა 755,053-მდე გაიზარდა (2010), თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც ბევრად ნაკლებია 2,000,000-ზე, რომელიც 1990-იან წლებში იყო. სარძევე ცხვრების 96% ინდივიდუალურ შინამეურნეობებშია კონცენტრირებული, რომელთაც საშუალოდ 20-დან 300 სულამდე ცხვარი ჰყავთ; შედარებით მცირე რაოდენობის მსხვილ კომპანიებს კი რამდენიმე ათასი ცხვარი ჰყავთ მოშენებული. ცხვრის ჯიშების სტრუქტურა ძირითადად წარმოდგენილია პრამენკას ჯიშის ცხვრებით და ასევე, ვიუნტერბერგის (ხორცის წარმოებისთვის) და ავასის (რძის წარმოებისთვის) ჰიბრიდული ჯიშების ცხვრებით.

2010 წელს 2,920 ტონა ბატკნისა და ცხვრის ხორცის ექსპორტი განხორციელდა ძირითადად იტალიასა და საბერძნეთში შობის და აღდგომის დღესასწაულების პერიოდებში, და შედარებით მცირე მოცულობით ხორვატიაში, სერბეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

ცხვრის რძე ყველის ტრადიციული სახეობების დასამზადებლად გამოიყენება. 2010 წელს, 8,640 ტონა ცხვრის რძე იქნა წარმოებული. ცხვრის რძის შესასყიდი ფასი თითქმის ორჯერ აღემატება ძროხის რძის ფასს. ერთი ცხვრისგან, საშუალოდ, ნმ ლიტრი რძე მიიღება.

კვერცხის წარმოება **მეფრინველეობის** უმთავრესი საქმიანობაა. კრუხების დაახლოებით 37% მსხვილ ფერმებზე მოდის, დანარჩენი 63% კი საშუალო ზომის ფერმებზე, საშუალოდ 2-დან 5 ათასამდე ფრინველით ერთ ფერმაზე. 2010 წელს, ფრინველის მთლიანი რაოდენობა 2 მილიონს აღწევდა; 75% კრუხი იყო, რომლებმაც წელიწადში 336 მილიონამდე კვერცხი დადეს. კვერცხის წარმოება ადგილობრივ მოთხოვნას აკმაყოფილებს და კვერცხის ექსპორტირება რეგიონულ ბაზრებზეც ხდება.

ფრინველის ხორცისთვის კვერცხისმდებელი და ბროილერი ქათმების დაკვლა ხდება და დაახლოებით 1,094 ტონა ხორცს აწარმოებენ. ქათმის ხორცის წარმოება ადგილობრივი მოთხოვნის 20%-ს აკმაყოფილებს.

## ფოკუსი - ვაზის საღვინე ჯიშები და ღვინო

ადგილობრივი ვაზის საღვინე ჯიშები მაკედონიის ღვინის ინდუსტრიის საფუძველია და მებობელი ქვეყნების ღვინის წარმოების ნედლი მასალის წყაროც. ღვინო მაკედონიის ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო საქონელია როგორც ღირებულების, ასევე მოცულობის თვალსაზრისით და მისი ექსპორტირება ევროკავშირის და რეგიონის სხვა ქვეყნებში ხდება.

ეს დარგი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შემოსავლის წყაროა და სახელმწიფო დახმარების ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო. ეს დარგი ძირითადად ჩამოსასხმელი ღვინის წარმოებაზე იყო რიენტირებული; თუმცა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში განხორციელებულმა ძალისხმევამ/ინვესტიციებმა შედეგად დამატებითი ღირებულება, გაუმჯობესებული ხარისხი და გაზრდილი წარმოება და ექსპორტის მოცულობები მოიტანა.

ღვინის ქარხნებს მაკედონიაში ნედლი მასალით ათასობით წვრილი ფერმერი ამარაგებს. მწარმოებელთა შორის დომინირებს რამდენიმე მსხვილი კომპანია (დაახლოებით 1,000 ჰა), რომლებითაც შესაძლოა ინვესტორები დაინტერესდნენ. სექტორისთვის გაწეული სახელმწიფო დახმარების შედეგად ვენახების ტერიტორია გარკვეულწილად გაიზარდა, რამაც გადამამუშავებელი ინდუსტრიისთვის საკმარისი მოცულობის ნედლი მასალის მიწოდება უზრუნველყო. ნედლი მასალის მნიშვნელოვან ნაწილს რეგიონის ადგილობრივი ჯიშები შეადგენს და წარმოებული ღვინოების პოპულარობას და ავთენტურობას განაპირობებს.

მაკედონიის ღვინოები პოპულარულია რეგიონულ ბაზარზე; მნიშვნელოვანი მოცულობა ჩამოსასხმელი ღვინის სახით გერმანიაშიც იგზავნება შემდგომი კუპაჟისთვის. ბოლო წლებში, ადგილობრივმა

ინვესტორებმა და ხელისუფლებამ დაინტერესება გამოხატა უფრო მაღალი ხარისხის ღვინოების წარმოებისადმი. დახმარებას ბაზრის სტიმულების ფორმა აქვს და მიზნად ისახავს დამატებითი ღირებულების ქვეყანაში შენარჩუნებას და კაპიტალზე შეზღუდვების შემსუბუქებას. კვალიფიციური ენოლოგების ნაკლებობა ინდუსტრიის შეზღუდვად არის მიჩნეული, რომელიც უფრო მაღალი ხარისხის ღვინის ბაზარზე შეღწევას აფერხებს. საინვესტიციო შესაძლებლობები ერთობლივი საწარმოების სახით არის ხელმისაწვდომი, იმ პირობით, რომ ისეთი ინვესტორები დაინტერესდებიან, ვისაც გამოცდილება და ბაზრის ცოდნა (პრეფერენციები და გასაღების ბაზრები) აქვს.

### **ფოკუსი - ბოსტნეულის გადამამუშავებელი ინდუსტრია**

ბოსტნეულის გადამამუშავება მაკედონიის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შემოსავლის მიღების კიდევ ერთი მთავარი წყაროა. ეს დარგი ექსპორტზეა ორიენტირებული. გადამამუშავებელ საწარმოებში ბოლო წლებში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვანი ღირებულება შემატა მაკედონიის მებოსტნეობას. გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარებამ პირველადი წარმოების სტიმულირებასაც შეუწყო ხელი, რაც მაკედონიის სოფლის მეურნეობისა და სურსათის ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე პოზიტიურ მოვლენად იქცა. თავის მხრივ, ნედლი მასალის დიდი მოცულობით მიწოდებამ შესაძლებელი გახადა გადამამუშავებელი ინდუსტრიის სწრაფი ზრდა და დივერსიფიკაცია.

ეს დარგი უწყვეტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც გამოიხატება პროდუქტების მუდმივი დივერსიფიკაციით და პროდუქციის მოცულობის ზრდით. ინვესტიციების მეორე ძალიან მნიშვნელოვანი შედეგს ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს. ეს ინდუსტრია მთელ რიგ პირველადი წარმოების პროდუქტებს იყენებს, თუმცა წამყვანი პროდუქტი წიწკაა. მწარმოებლები საკმაოდ გამოცდილები არიან და მათ არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ სწრაფად და მნიშვნელოვნად გაზარდონ პროდუქციის მოცულობა. მზარდი ექსპორტი დადებითად მოქმედებს გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარებაზე, ხოლო სამთავრობო დახმარება, რომელიც მოდერნიზაციისა და ბაზრის სტიმულირებისკენ არის მიმართული, დამატებითი ღირებულების ქვეყანაში შენარჩუნებას და პირველადი წარმოების ზრდას უწყობს ხელს. მაღალი შემოსავლი ინვესტიციების მცირე მოცულობასთან შედარებით, რაც ინდუსტრიისთვის არის საჭირო, მიმზიდველია ინვესტორებისთვის.

ზემოთ აღწერილი ორივე დარგი საბრუნავი კაპიტალის ნაკლებობას განიცდის, ძირითადად არასწორი ფინანსური მენეჯმენტის გამო. გადამამუშავებელი ინდუსტრიის მიერ საბოლოო მყიდველის დაკრედიტების (ერთ წლამდე ვადით) შედეგად პირველადი მწარმოებლებისათვის ფულის გადახდა ძალიან გვიანდება, რაც უნდობლობას ზრდის და ვერტიკალურ ინტეგრაციას აფერხებს. სწორი ფინანსური დაგეგმვა, კრედიტებზე დამოკიდებულების შემცირების გზით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ორივე დარგის წარმოებას და შეამცირებს ხარჯებს.



## სერბეთი<sup>2</sup>

### მემცენარეობა

სასოფლო-სამეურნეო მიწების უმეტესობა **მარცვლოვანი კულტურებისთვის** გამოიყენება. ამ პროდუქტს მთელი ნათესების თითქმის 60% უკავია. სიმინდი 1.2 მილიონ ჰექტარ მიწაზე მოჰყავთ. სიმინდის წარმოებით სერბეთი ევროპაში მეხუთე ადგილზეა საფრანგეთის, უკრაინის, რუმინეთისა და იტალიის შემდეგ.

ღია მინდვრებზე მარცვლოვანი კულტურები ძირითადად ვოევოდინაში მოჰყავთ. ეს უმეტესად დაბლობი რეგიონია, რომელზეც სერბეთის დამუშავებული მიწების თითქმის 84% მოდის. ნიადაგის პროდუქტიულობა საირიგაციო არხების მშენებლობის შედეგად გაუმჯობესდა.

სერბეთი ევროპის წამყვანი ქვეყანაა **ზეთოვანი კულტურების** წარმოებით. ზეთოვანი კულტურების უდიდესი მინდვრები ვოევოდინაშია, სადაც ამ ტიპის შვიდიდან ექვსი გადამამუშავებელი ქარხანა მდებარეობს. ზეთის გამოსხდელი ქარხნებიდან ორი სოიოს ზეთის გამოსახდელი ქარხანაა.

ზეთოვანი კულტურების წარმოება ადგილობრივ მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს; მის ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტებს მზესუმზირის და სოიოს ზეთები წარმოადგენს, რომლებიც, ღირებულების მიხედვით, საექსპორტო პროდუქტების პირველ ათეულში შედიოდა 2010 წელს.

ვოევოდინაში **შაქრის ტარხლის** მოსაყვანად კარგი ნიადაგი და კლიმატური პირობებია. ამ ფაქტორებმა უცხოური კომპანიები მოიზიდა, რომლებმაც ინვესტიციები დააბანდეს შაქრის ტარხლის წარმოებასა და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ შაქრის ტარხლის ნათესების მოცულობა წლიდან წლამდე განსხვავდება, ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავალი ზრდის ტენდენციას აჩვენებს. შაქრის ტარხლის გადამამუშავებას სამი კომპანია ახორციელებს ვოევოდინაში მდებარე ექვს გადამამუშავებელ საწარმოში. შაქარი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტია და ექსპორტის ღირებულების მიხედვით, საექსპორტო პროდუქტების პირველ ათეულში შედის ძირითადად ევროკავშირში ექსპორტირების პრეფერენციული რეჟიმის წყალობით, რომელიც ყოველწლიურად 180,000 ტონა მოცულობას ითვალისწინებს.

**სამკურნალო ბალახების, არომატული მცენარეების და მწვანილის** მოყვანა სერბეთის ტრადიციის და კულტურის ნაწილია. არაკულტივირებული სამკურნალო ბალახების მთლიანმა მოცულობამ, 2010 წელს 16,000 ტონა შეადგინა. ამავე დროს, კულტივირებული სამკურნალო ბალახების მიწებს ან პლანტაციებს 1,419 ჰექტარი უკავია და 4,500 ტონა მოსავალს იძლევა.

<sup>2</sup> სერბეთის ყველა მონაცემი აღებულია სოფლის მეურნეობის, მეტყვეობისა და წყლის მეურნეობის სამინისტროს 2012 წლის „სერბეთის სოფლის მეურნეობის ფაქტობრივი მონაცემების ცნობარიდან“; სხვა შემთხვევაში წყარო მითითებულია.

**ბოსტნეულის წარმოება** მემცენარეობის ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური ქვედარგია, რომლის ღირებულება 5-8-ჯერ აღემატება ღია მინდორში მოყვანილი მცენარეების ღირებულებას და 200–250-ჯერ ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობების ღირებულებას. ბოსტნეული დაახლოებით 281,000 ჰექტარ ფართობზე მოჰყავთ, რაც დამუშავებული მიწების 9%-ს შეადგენს. 2010 წელს ბოსტნეულის მოსავალმა 2.18 მილიონი ტონა შეადგინა.

ბოსტნეულის წარმოების სტრუქტურაში კარტოფილი დომინირებს 41%-იანი წილით. კარტოფილის ინდუსტრია პროდუქტების ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი: ჩიპსები, პიურე და დაჭრილი გაყინული კარტოფილი, რომელთა ექსპორტი ბოლო წლებში იზრდება. კარტოფილის შემდეგ ყველაზე გავრცელებული ბოსტნეულია სტაფილო (15%), ნესვი და საზამთრო (9%), პომიდორი (9%), წიწაკა (7%) და ხახვი (7%). ზრდის ტენდენცია, რომელიც ბოსტნეულის სახეობათა უმეტესობის წარმოებაში აღინიშნება, ამ პროდუქციის მომგებიანობაზე მიუთითებს.


სერბეთს დადებითი ბალანსი აქვს ბოსტნეულით საგარეო ვაჭრობაში. ბოსტნეულის ექსპორტის წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო ექსპორტში 9%-ს შეადგენს. ევროკავშირი ახალი, გაყინული და გადამუშავებული ბოსტნეულის უმსხვილესი იმპორტიორია (42%). გადამუშავებული ბოსტნეულის ექსპორტში ძირითადად დაკონსერვებული ბოსტნეული დომინირებს. ხმელ წიწაკას ყველაზე დიდი წილი აქვს გამხმარი ბოსტნეულის ექსპორტში და ის ძირითადად უნგრეთში, ავსტრიასა და გერმანიაში იგზავნება.

ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ნიადაგი ხელს უწყობს მრავალფეროვანი **ხილის წარმოებას**. 2010 წელს, ხეხილის ბალებზე 239,846 ჰექტარი მოდიოდა, რაც მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების 4.7%-ს ან კულტივირებული მიწების 5.7%-ს შეადგენდა. ტრადიციულად, ხილის პლანტაციების უდიდესი ნაწილი ქლიავის ბალებს უკავია - 51%, რომელსაც ვაშლის (20%) და ალუბლის (10%) ბალები მოსდევს.

2010 წელს ხილის მთლიანმა მოსავალმა 1,043,504 ტონა შეადგინა. წარმოების სტრუქტურაში კურკიანი ხილის სახეობები დომინირებს 56%-იანი წილით, რომელსაც მოსდევს თესლოვანი ხილი (28%), კენკროვანი ხილი (14%) და კაკლოვანი ხილი (2%). ყველაზე გავრცელებული ქლიავია, რომელსაც მთლიანი ხეხილის ბალების 51% უკავია. ხილის წარმოების წილი მემცენარეობის მთლიან ღირებულებაში 12%-ს შეადგენს. ხილის მოყვანის ყველაზე მსხვილი რეგიონები ცენტრალურ სერბეთში მდებარეობს.

## გრაფიკი 1: ხილის წარმოება სახეობების მიხედვით სერბეთში

■ კოლო ■ მარწყვი ■ კაკალი ■ ატამი ■ გარგარი ■ ალუბალი  
■ ზალი ■ ქლიავი ■ კომში ■ მსხალი ■ ვაშლი



წყარო: სერბეთის სტატისტიკის სამსახური.

სოფლის მეურნეობის და სურსათის ექსპორტის მთლიან ღირებულებაში ხილისა და გადამამუშავებული ხილის ექსპორტს მნიშვნელოვანი წილი, ჩვეულებრივ, საშუალოდ 27% უკავია. ექსპორტის ღირებულების მიხედვით წამყვანი ხილია ჟოლო. 2010 წელს ხილის მთლიან საექსპორტო ღირებულებაში ჟოლოს წილმა 47% შეადგინა.

ხილის წარმოება სერბეთში, რომელიც მცირე ზომის მწარმოებლების ფართო ქსელს იყენებს, ზომიერად პროდუქტიულია. შეზღუდული ავტომატიზაციისა და ტექნოლოგიების გამო მოსავლიანობა, დასავლურ სტანდარტებთან შედარებით, დაბალია.

## მეცხოველეობა


მეცხოველეობის წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში 32% იყო 2010 წელს. მსხვილფეხა საქონლის მოშენება მეცხოველეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვედარგია. მსხვილფეხა საქონლისგან წარმოებული ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტები რძე და ხორცია. ძროხის რძის წილი მთლიან მეცხოველეობაში 25%-ს შეადგენდა, ხოლო საქონლის ხორცის წილი 17.6%-ს. ძროხის რძე ყველაზე მიშენელოვანი პროდუქტი იყო, რომელზეც 98% - 99%-იანი წილი მოდიოდა.

ღორის ხორცის წარმოება მეცხოველეობის ყველაზე მნიშვნელოვანია დარგია ხორცის წარმოების თვალსაზრისით, თუმცა ის ასევე მნიშვნელოვანია მთლიანად მეცხოველეობის თვალსაზრისითაც. 2010

წელს, ღორის ხორცის წილი ხორცის მთლიან წარმოებაში 57%-ს შეადგენდა. ფრინველის ხორცის წარმოება აღმავალი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2010 წელს მისმა წილმა ხორცის მთლიან წარმოებაში 18% შეადგინა.

## გრაფიკი 2: ქვედარგების წილი მთლიან მეცხოველეობაში სერბეთში

■ მეფუტკრეობა ■ მეფრინველეობა ■ მეცხვარეობა  
■ მელორეობა ■ მესაქონლეობა



წყარო: სერბეთის სტატისტიკის სამსახური.

## ფოკუსი - ჟოლო და მაცვალი

სერბეთში გარდამავალი პერიოდის დაწყებიდანვე, კენკროვანი ხილი (ჟოლო და მაცვალი) სოფლის მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ეს ქვედარგი საკმაოდ შრომატევადია და მასშტაბური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეზღუდული შესაძლებლობებით ხასიათდება. კენკროვანი ხილის ქვედარგი გადამამუშავებელი ინდუსტრიის საფუძველს წარმოადგენდა და ახალ ის კონსოლიდირების და მოდერნიზების პროცესს განიცდის.

მცირე ზომის ფერმები, რომლებიც პირველად წარმოებაში დომინირებს, ძირითადად ნაღდი ფულით ანგარიშ-სწორების საფუძველზე ოპერირებს, პროდუქციის გაყიდვასა და გაყიდულის საფასურის მიღებას შორის მცირე დაგვიანებებით. გადამამუშავებელ ინდუსტრიაში კაპიტალის დეფიციტი არ შეინიშნება, რაც ამ ინდუსტრიის მომ-გებიანობასა და კონკურენციაზე მიუთითებს. მეორე მხრივ, მცირეზომიანი მეურნეობების გამო ძნელია ამ ქვე-დარგის მოდერნიზების პროცესის ინტენსიურად წარმართვა. რეგიონში კონკურენციის ნაკლებობის გამო, ადგი-ლობრივი გადამამუშავებლები ერთმანეთს დამატებითი ღირებულების შექმნასა და ბაზარზე უკეთესი მდგომარე-ობის მოპოვებაში ეჯობებიან. ეს ინდუსტრია დამატებითი ღირებულების პროდუქტების შექმნისკენ და საცალო

შეფუთვებისკენ იხრება, რითიც ქვეყანაში მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას ინარჩუნებს. უცხოელმა და ადგილობრივმა ინვესტორებმა ამ ქვედარგში კაპიტალი უკვე დააბანდეს, თუმცა ინვესტირების შესაძლებლობები კვლავ არსებობს. გადამამუშავებელი ინდუსტრიის წარმადობა უკვე მნიშვნელოვნად აღემატება პირველადი წარმოების მოცულობას, რადგან ბაზრები უკვე ადვილად ითვისებენ პროდუქციის არსებულ მოცულობებს.

## ფოკუსი - ქლიავი და ქლიავის ჩირი

სერბეთის ქლიავის წარმოება ევროპისთვის ნედლი მასალის ერთ-ერთი უმსხვილესი წყაროა. რეგიონულ ბაზრებზე მოთხოვნის კლებამ ამ ქვედარგის სტაგნაცია გამოიწვია და შინამეურნეობათა მიერ ქლიავის ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში გამოყენება გაზარდა. გადამამუშავებელ ინდუსტრიაში გამოსაშრობი საწარმოები ჭარბობს, რომლებიც ზოგადად არადაფასოებულ ქლიავის ჩირს აწარმოებენ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქლიავისა და ქლიავის ჩირის დარგის განვითარებას სტიმული ყოფილ საბჭოთა კავშირში (რუსეთი) და ახალ ბაზრებზე (თურქეთი) მოთხოვნის ზრდამ მისცა.

იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენტული ხეხილის ბალების გაშენება და გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარება დროს მოითხოვს, სერბეთი ალბათ კვლავ გაუსწრებს კონკურენტებს უახლოეს მომავალში. მხარდი მოთხოვნა ამ ქვედარგის განვითარების ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

ორივე ზემოთ აღწერილ ქვედარგს ნედლი მასალის მიწოდების უმსხვილესი ბაზა აქვს, რაც სერბეთს, ფაქტობრივად, მსოფლიო მასშტაბის მოთამაშედ აქცევს. ეს პოზიცია დღესაც შენარჩუნებულია მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვედარგები წლების განმავლობაში იყო იგნორირებული და იაფი ნედლი მასალა შემდგომი გადამამუშავებისთვის იყიდებოდა. ქვეყნის ხელისუფლებამ ამ ქვედარგების მნიშვნელობა აღიარა, მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ სერბეთი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მსხვილი რეგიონული მწარმოებელია, ცდილობს, დახმარების შეზღუდული რესურსები თანაბრად გადაუნაწილოს ბევრ ქვედარგს. თუმცა, შედარებით მეტი დახმარება ხეხილის ბალების განახლებასა და მოდერნიზაციას ხმარდება, რაც ამ ქვედარგის დაღმასვლას აწელებს.

## ხორვატია<sup>3</sup>

### მემცენარეობა

ხორვატიის მემცენარეობაში მარცვლოვანი კულტურები დომინირებს, რომლებსაც სავარგულების დაახლოებით 65%-ს უკავია. მარცვლოვანი კულტურებით, საშუალოდ, 559,999 ჰექტარი მიწაა დათესილი, რომელიც 3.1 მილიონ ტონა მარცვლეულს იძლევა. სიმინდს ამ ნათესების 62% (2.2 მილიონი ტონა), ხოლო ხორბალს 27% (903,900 ტონა) უკავია. რამდენიმე წელია, რაც ხორვატია მარცვლოვანი კულტურების ექსპორტიორია.

<sup>3</sup> ხორვატიის ყველა მონაცემი აღებულია სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და სოფლის განვითარების სამინისტროს 2009 წლის ცნობარიდან „ხორვატიის სოფლის მეურნეობა“; სხვა შემთხვევაში წყარო მითითებულია.

### გრაფიკი 3: მარცვლოვანი კულტურების სტრუქტურა ხორვატიაში




წყარო: ხორვატიის სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და სოფლის განვითარების სამინისტრო.

250,000 ტონა ბეთოვანი კულტურები (სოიო, მზესუმზირა, რაპსი) 95,000 ჰექტარზეა გაშენებული. ბეთოვანი კულტურების წარმოება მცენარეული ზეთის და ცხიმის ადგილობრივი მოთხოვნის 80%-ს აკმაყოფილებს.

შაქრის ტარხალი 30,000 ჰექტარზე მოჰყავთ, ხოლო შაქრის წარმოება სამ ქარხანაში, ნაწილობრივ იმპორტირებული ნედლი მასალით ხდება. ბოლო ათი წლის განმავლობაში, შაქარი ხორვატიის ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტი იყო. შაქრის თითქმის მთელი ექსპორტი ევროკავშირის ბაზრებზე მიდის. ბოლო 6-7 წელიწადში მიღწეული პროგრესის შედეგად მოსავლის მოცულობა ერთ ჰექტარზე 2.5-ჯერ გაიზარდა და 9.5 ტონას მიაღწია.

### გრაფიკი 4: ტექნიკური კულტურები ხორვატიაში




წყარო: ხორვატიის სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და სოფლის განვითარების სამინისტრო.

ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ, დანარჩენი ევროპის შაქრის ინდუსტრიის მსგავსად, ხორვატიის სოფლის მეურნეობის და სურსათის ეს დარგი მძლავრი მსოფლიო კონკურენციის წინაშე აღმოჩნდება ბაზრის სრული ლიბერალიზაციის გამო.

**ხილისა და ბოსტნეულის** (ვაზის ჩათვლით) მოყვანით უმეტესად მცირე ზომის მეურნეობები არიან დაკავებული, რომლებსაც ეს პროდუქცია ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის და ბაზარზე გასაყიდად მოჰყავთ.

ყურძენი (სუფრისა და საღვინე ვაზის ჯიშები) და კარტოფილი ყველაზე გავრცელებული კულტურებია, რომლებსაც ვაშლი, ქლიავი და პომიდორი მოსდევს.

**გრაფიკი 5: ხილი**



წყარო: ხორვატიის სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და სოფლის განვითარების სამინისტრო.

ხილისა და ბოსტნეულის წარმოება საკმაოდ დივერსიფიცირებულია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ის კვლავ მთლიანი მოხმარების 2/3-ზე ნაკლებს მოიცავს. თვითკმარობის დონე ხილის წარმოების შემთხვევაში გაცილებით დაბალია, ვიდრე ბოსტნეულის შემთხვევაში. წარმოებული მოცულობების მიხედვით ხილის სახეობებს შორის წამყვანი ადგილი ვაშლს და მანდარინს უკავია და მათი ერთობლივი მოსავალი, საშუალოდ, 103,000 ტონას შეადგენს. კომბოსტო და წიწაკა ბოსტნეულის სეგმენტშია წამყვანი პროდუქტი, რომელთა საერთო მოცულობა, საშუალოდ, 70,000 ტონაა.

ხორვატიას ღვინის დამზადების ძალიან ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. მევენახეობაში დაახლოებით 150,000 ფერმერია ჩართული. მიწის ფრაგმენტაციის ხარისხი ძალიან მაღალია. 95%-ზე მეტი ფერმერი 0.5 ჰა-მდე ვენახს ამუშავებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბევრისთვის წარმოება არასრული საქმიანობაა. ვაზის ყველაზე გავრცელებული ჯიშებია გრაშევენა, ისტრიანმაღვანა და პლავანი. მათი საერთო წილი მთლიანი პროდუქციის 47%-ს შეადგენს. დანარჩენი წილი ვაზის 28 ჯიშს უკავია, რომელთაგან არცერთის წილი, ცალკე აღებული, 3%-ს არ აღემატება.

ვაზის მოყვანის ბუნებრივი პირობების მხრივ ხელსაყრელი ორი რეგიონია: კონტინენტური და სანაპირო რეგიონების 13 რაიონი. ღვინის წარმოება 1.28 მილიონ ლიტრ/ჰექტარს აღწევს. მიუხედავად ამისა, ღვინის იმპორტი რანდენჯერმე აღემატება ექსპორტს. ხორვატიული ღვინოების საშუალო საექსპორტო ფასები სამჯერ აღემატება იმპორტირებული ღვინოების ფასებს. ტურისტების მიერ ღვინის მოხმარება მთლიანი მოხმარების მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს.

## მეცხოველეობა

მეცხოველეობა მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრის, თხისა და ცხენის მწარმოებლებით არის წარმოდგენილი. პროდუქციის სტრუქტურის უდიდესი წილი მცირე ზომის შინამურნეობებზე მოდის, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბაზარზე მსხვილი საწარმოების (სპეციალიზებული ფერმების) მნიშვნელობა იზრდება. ომის დროს (1991-1995), ძროხების სულადობა და წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

რძის წარმოება მსხვილფეხა საქონლის მოშენების საფუძველს წარმოადგენს. ბოლო რამდენიმე წელია ამ ქვედარგის რესტრუქტურირაცია მიმდინარეობს და მნიშვნელოვნად გაიზარდა შედარებით დიდი ფერმების მიერ რძის მიწოდება. ამავე დროს, ხორვატია რძის წმინდა იმპორტიორია. გარდამავალ პერიოდამდე არსებული წარმოების დონე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ეს ერთ-ერთი სეგმენტია, რომელშიც გასულ წლებში მთავრობამ მსხვილი ინვესტიციები ჩადო. ყველაზე დიდი წინსვლა რძის ხარისხის გაუმჯობესებაში შეიმჩნევა, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებს უახლოვდება.

მეღორეობას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ამ ქვედარგის ტრადიციულად ძლიერი ადგილობრივი წარმოების გამო, ხოლო მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ფერმების მაღალი ფრაგმენტაციაა. წარმოება ორგანიზებულია მსხვილ საწარმოებში, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი და წარმოებისთვის არსებული ჰიბრიდების მაღალხარისხიან ჯიშებს იყენებენ.

ცხვრის და თხის მოშენება ძირითადად გავრცელებულია მაღალმთიან რეგიონებში და კუნძულებზე, რომლებიც ნაკლებ ხელსაყრელ რეგიონებად არის მიჩნეული. ამის გამო, ფერმერებს შეუძლიათ მოითხოვონ დახმარება სპეციალიზებული ფონდებიდან. წარმოების 98% შედარებით მცირე ზომის ფერმებშია კონცენტრირებული, რომელთაგან 30,000 ცხვრის მოშენებით არის დაკავებული.

მსხვილი საწარმოები მეფრინველეობით არიან დაკავებული (ხორცი და კვერცხი). ხორცის მოხმარების სტრუქტურაში, წარმოების სტრუქტურის შესაბამისად, ყველაზე დიდი წილი ღორის ხორცზე მოდის, რომელსაც ფრინველის და საქონლის ხორცი მოსდევს, ხოლო ბატკნისა და ცხვრის ხორცის მოხმარების წილი ყველაზე მცირეა. ხორცის ზემოაღნიშნულ ყველა კატეგორიაში ხორვატია წმინდა იმპორტიორია, თუმცა ფრინველი ხორცის წარმოებაში თვითკმარობის დონეს უახლოვდება.



## ფოკუსი - მანდარინი

ხორვატია სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესი სახეობის წმინდა იმპორტიორია. მანდარინის წარმოება იმ რამდენიმე ქვედარგთაგანია, რომელიც ექსპორტზეა ორიენტირებული. ბოლო 10 წლის განმავლობაში ამ ქვედარგმა სტაბილური აღმასვლა განიცადა. ხელსაყრელი ადგილმდებარეობისა და კლიმატური პირობების შედეგად, ხორვატია მანდარინს ექსპორტზე ყველა კონკურენტზე ადრე გზავნის, რაც კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ქვედარგში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციების წყალობით, რომლებიც მთავრობის მხრიდან სტიმულების ფორმით და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ინვესტირებით გამოიხატა, წლიური საექსპორტო მოცულობები შთამბეჭდავად იზრდება. ეს პროდუქტი რეგიონული თანამშრომლობის გაფართოების საფუძველსაც იძლევა, რადგან მოსავლის აღების დროს მასობრივი სეზონური დასაქმების შესაძლებლობებს ქმნის.

ხორვატიაში მოყვანილი მანდარინის 90%-ზე მეტი ექსპორტზე იგზავნება. მანდარინის სახეობებისა და კონკურენტებთან შედარებით დაბალი ფასის გამო, ამ პროდუქტზე მოთხოვნა იზრდება როგორც რეგიონულ, ასევე ევროკავშირის ბაზრებზე. ბოლო დროს, მანდარინმა რუსეთის ბაზარზეც შეაღწია და ამ ქვედარგში ინვესტირებისადმი ინტერესიც კი გაზარდა. ეს ქვედარგი საკმაოდ მკაცრად რეგულირდება და მსხვილ სუბსიდიებსაც ღებულობს ახალი ხეხილის ბაღების გაშენების და ბაზრის სტიმულირების მიზნით, რაც მას ძალიან კონკურენტულს ხდის როგორც ინვესტირებისთვის, ასევე პროგნოზირებადი ხარჯებისა და მოგების თვალსაზრისით.

მანდარინი იმ რამდენიმე ქვედარგთაგანია, რომლებსაც კვოტები არ შეეხო მას შემდეგ, რაც ხორვატია ევროკავშირის წევრი გახდა. გარდა ამისა, ბოლო 10 წლის განმავლობაში პლანტაციების გაშენებისთვის გაწეული დახმარების ეფექტს ჯერ პიკისთვის არ მიუღწევია მოსავლის მოცულობის თვალსაზრისით.


## ალბანეთი<sup>4</sup>

### მემცენარეობა

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ალბანეთში სულ 584,000 ჰექტარს შეადგენს. 2010 წელს, მთლიანი სავარგულების 33.2% საქონლის საკვების, 14.3% - ხორბლის და 8.4% სიმინდისა და სხვა მარცვლოვანი კულტურების ნათესები იყო, რაც მიწების დიდი ნაწილის გამოუყენებლობასა და დაუთესავ მიწებზე მიუთითებს. ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მინდვრის კულტურები მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დახლოებით 31%-ს შეადგენს. მარცვლოვანი კულტურები, ბოსტნეული და კარტოფილი კვლავ მემცენარეობის წამყვანი პროდუქტებია.

<sup>4</sup> ალბანეთის ყველა მონაცემი აღებულია IAMO-ს 2010 წლის ცნობარიდან „დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობა“; სხვა შემთხვევაში წყარო მითითებულია.

## გრაფიკი 6: მინდვრის კულტურების სტრუქტურა



წყარო: ალბანეთის სტატისტიკის ინსტიტუტი.

დახმარების სქემების გამოყენების შედეგად, ბოლო წლებში ხეხილის წარმოება მატულობს. ხეხილი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 17%-ს შეადგენს, რომელშიც ყურძენი და ხილის ხეები დომინირებს; ასევე იზრდება ზეთის ხილის წარმოება. შესამჩნევად იმატა სასათბურე მეურნეობების მოცულობამ და ფართობი, რომელზეც ბოსტნეული მოჰყავთ, 85ნ ჰა-ს შეადგენს.

## მეცხოველეობა

მეცხოველეობა ალბანეთის სტრატეგიული დარგია. ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების 52%-ს შეადგენს. ბოლო 10 წელიწადში, საქონლის მთლიანი სულადობა შემცირდა. ყველაზე მკვეთრი კლება მსხვილფეხა საქონელში აღინიშნა. იმავე პერიოდში ოდნავ შემცირდა მცირე ზომის მცოხნელების რაოდენობა, ხოლო ღორების სულადობა 50%-ზე მეტით გაიზარდა.

## გრაფიკი 7: მეცხოველეობის სტრუქტურა



წყარო: ალბანეთის სტატისტიკის ინსტიტუტი.

აღბანეთმა სოფლის მეურნეობის სექტორის დახმარება მის ერთ-ერთი პრიორიტეტად ახლიდან აღიარა. შეზღუდული რესურსების გამო, ქვეყანაში სულ რამდენიმე დარგის სუბსიდირება ხდება და ისიც მცირე მოცულობით. ძალზე მცირე გამონაკლისის გარდა, სადაც პოზიტიური ძვრები შენიშნება, სოფლის მეურნეობის სექტორი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ მოხმარებას და ქვეყანა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წმინდა იმპორტიორია.

### **ფოკუსი - სამკურნალო ბალახები და არომატული მცენარეები**

სამკურნალო ბალახები და არომატული მცენარეები აღბანეთის ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო საქონელია. ეს ტრადიციული სექტორია, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში სტაბილურად ვითარდება. ეს ქვედარგი ძალიან შრომატევადია და სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. მთლიანი მუშახელის თითქმის 10% ამ ქვედარგშია დასაქმებული. ეს ძალზე შთამბეჭდავი ციფრია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელს ევროკავშირში. ამ მცენარეების ექსპორტის უდიდესი ნაწილი გერმანიასა და აშშ-ში მიდის.

ამ ტრადიციული საექსპორტო ნედლი მასალის გადამამუშავებაში მსხვილი და საშუალო ზომის ოპერატორები სხვადასხვა დონეზე არიან ჩართული და ერთმანეთს კონკურენციას უწევენ საერთაშორისო ბაზრების მოპოვებისთვის. ძლიერი კონკურენცია ნედლი მასალის ბაზარზე გადამამუშავებელ საქმიანობაში ინვესტიციებს ზრდის. ზოგი სასოფლო რეგიონის ნაწილობრივი დეპოპულაცია და შეშფოთება მიწების ინტენსიური გამოყენების თაობაზე ინვესტიციებს კულტივაციის მიმართულებით უფრო ზრდის, ვიდრე მოსავლის მოყვანის მიმართულებით. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ბაზარმა სახელმწიფო მხარდაჭერასთან ერთად იმოქმედოს ისეთ არაკონკურენტულ პირობებში, როგორცაა მაღალი უმუშევრობა სოფლად, რესურსების ნაკლებობა და სხვა.

# ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები – მთავარი ცვლილებები

2004 და 2007 წლების გაფართოებამ, როდესაც ევროკავშირს 12 ახალი წევრი სახელმწიფო შეემატა, სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია.

ეროვნულ ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის როლის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო გზა მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილია, რომელიც მთელ მსოფლიოში მცირდება. ეს ტენდენცია ახალ წევრ სახელმწიფოებში ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაც გაგრძელდა. მშპ-ში სოფლის მეურნეობის ყველაზე მაღალი წილი 2000 წელს დაფიქსირდა ბულგარეთში (14%), რუმინეთში (13%) და ლიტვაში (6%), ხოლო დანარჩენი ახალი წევრი სახელმწიფოების შესაბამისი წილები 3%-სა და 5%-ს შორის მერყეობდა. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ეს მაჩვენებლები ყველა ამ ქვეყანაში შემცირდა, თუმცა ყველაზე მკვეთრი ვარდნა იმ ქვეყნებში მოხდა, სადაც ის ყველაზე მაღალი იყო. 2010 წელს, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი ყველა ამ ანგარიშში გაანალიზებულ ქვეყანაში 7%-ზე ნაკლები იყო (უმეტესობაში 2%-დან 4%-მდე), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი ყველა ამ ქვეყანაში მაინც უფრო მაღალია, თუ სურსათის ინდუსტრიას მივიღებთ მხედველობაში. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ახალი წევრი სახელმწიფოს წილი მაინც აღემატებოდა 27-წევრიანი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. ორი მთავარი გავლენა, რაც გაწევრიანებამ სოფლის მეურნეობაზე მოახდინა, სოფლის მეურნეობის წარმოების და ვაჭრობის განვითარებაა.

**ცხრილი 3: სოფლის მეურნეობის წილი ახალი წევრი სახელმწიფოების მშპ-ში (%)**

	2000	2003	2006	2010
ბულგარეთი	13.56	11.2	7.17	5.36
კვიპროსი	3.6	3.41	2.4	2.08
ჩეხეთი	3.89	3.13	2.6	2.4
ესტონეთი	4.82	3.99	3.21	2.86
უნგრეთი	5.4	4.3	4.01	3.53
ლატვია	4.6	4.13	3.51	4.14
ლიტვა	6.35	5	4.3	3.51
მალტა	2.35	2.89	2.74	1.83
პოლონეთი	4.96	4.39	4.29	3.54
რუმინეთი	12.51	13.03	10.51	7.14
სლოვაკეთი	4.47	4.52	3.59	3.86
სლოვენია	3.3	2.5	2.39	2.46
ევროკავშირი 27	2.31	2.03	1.65	1.48

2010 – კვიპროსი და ესტონეთისთვის 2008 წლის მონაცემებია გამოყენებული. მალტის შემთხვევაში 2009 წლის მონაცემებია გამოყენებული.  
წყარო: მსოფლიო ბანკი (2012)

ახალი წვერი სახელმწიფოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი განსხვავებებია. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, რეალურ გამოსახულებაში, გაიზარდა 2000 წლიდან 2011 წლამდე. ყველა სხვა განხილულ ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია რეალურ გამოსახულებაში შემცირდა.

ამავე დროს, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, ახალ წვერ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ერთ ჰექტარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. უნგრეთსა და პოლონეთში ამ მაჩვენებელმა 2011 წელს 1,000 ევრო/ჰა-ს მიაღწია, თუმცა მხოლოდ სლოვენიაში შეძლო 15-წევრიანი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის მიღწევა.

მეორე საზომი, რომელიც სოფლის მეურნეობის მდგომარეობას აჩვენებს პროდუქტიულობაა. 2010 წელს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების თანახმად, მარცვლოვანი კულტურების ყველაზე დიდი მოსავალი სლოვენიაში იყო (5.97 ტონა/ჰა), ხოლო ყველაზე მცირე - კვიპროსში (1.60 ტონა/ჰა). ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ყველა ახალმა წევრმა სახელმწიფომ, კვიპროსის და ლიტვის გარდა, შეძლო მარცვლოვანი კულტურების მოსავლის გაზრდა. მარცვლოვანი კულტურების მოსავლის ყველაზე მაღალი ზრდა უნგრეთში აღინიშნა (თითქმის 60%-ით). თუმცა, ახალი წვერი ქვეყნების პროდუქტიულობა კვლავ ჩამოუვარდება 15-წევრიანი ევროკავშირის დროინდელ პროდუქტიულობის დონეს. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ყველა ახალ წვერ სახელმწიფოში შრომის პროდუქტიულობა გაუმჯობესდა, თუმცა ეს მონაცემი მაინც 4-5-ჯერ ნაკლებია 15-წევრიანი ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელზე. 2011 წელს, ყველაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია წლიური შესრულებული სამუშაოს ერთ ერთეულზე (AWU) რეალურ გამოსახულებაში ჩეხეთს ჰქონდა (34,000 ევრო/AWU), რაც 27-წევრიანი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა, ყველაზე დაბალი კი რუმინეთს ჰქონდა (6,000 ევრო/AWU).

ევროკავშირში გაწევრიანებამ ახალი წვერი ქვეყნების სოფლის მეურნეობის წარმოების სტრუქტურაზეც იმოქმედა. გაწევრიანების შემდეგ იგი უფრო ექსტენსიური მიმართულებით განვითარდა, კერძოდ, მემცენარეობის წარმოების მიმართულებით. 2011 წელს, მემცენარეობის პროდუქციამ მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 75% შეადგინა მაშინ, როდესაც უმეტეს შემთხვევებში იგი 50%-დან 60%-მდე მერყეობდა. ეს ცვლილება ძირითადად ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის მარცვლეულის ინტერვენციის სისტემამ და რეგიონში საქონლის საკვებზე ფასების მატებამ გამოიწვია.

ევროკავშირში გაერთიანებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ახალი წვერი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობაზე. ჯერ ერთი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ღირებულება 2004 წლის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ნომინალურ გამოსახულებაში (ცხრილი 4). 2003 წლიდან 2011 წლამდე, უნგრეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი გაორმაგდა, ხოლო ლატვისა და რუმინეთის ექსპორტი - თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. ამავე დროს, უმეტეს შემთხვევებში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი გასამზავდა. ექსპორტის ყველაზე დიდი მატება ლატვიაში აღინიშნა, იმპორტის კი სლოვაკეთში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ყველაზე მცირე ზრდა მალტაში დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევებში ექსპორტის ზრდის ტემპი იმპორტის ზრდის ტემპს აღემატებოდა.

თუმცა, ნომინალურ გამოსახულებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ზრდას უმეტეს შემთხვევაში არ მოჰყოლია ბალანსის გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაში. საანალიზო პერიოდში გაუმჯობესდა მხოლოდ ბულგარეთის, უნგრეთის, ლიტვისა და პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ბალანსი. 2011 წელს პოლონეთის ბალანსმა 2.5 მილიარდ ევროს გადააჭარბა, ხოლო უნგრეთისამ თითქმის 2 მილიარდ ევროს მიაღწია. ევროკავშირში გაწევრიანებამ ახალი წევრების უმეტესობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ბალანსი გააუარესა. ყველაზე დიდი დეფიციტი ჩეხეთსა და რუმინეთში აღინიშნა (დაახლოებით 1,5 მილიარდი ევრო 2011 წელს).

**ცხრილი 4: ცვლილებები ახალი წევრი სახელმწიფოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაში, ნომინალურ გამოსახულებაში (2003 = 100)**

ქვეყანა	ექსპორტი			იმპორტი		
	2006	2009	2011	2006	2009	2011
ბულგარეთი	158	281	465	172	322	429
კვიპროსი	127	124	164	159	201	220
ჩეხეთი	189	245	310	173	224	278
ესტონეთი	179	214	336	152	182	239
უნგრეთი	128	164	225	205	244	310
ლატვია	275	414	650	178	229	304
ლიტვა	233	359	514	207	284	411
მალტა	157	87	158	123	142	152
პოლონეთი	212	268	351	188	271	362
რუმინეთი	172	341	618	159	250	290
სლოვაკეთი	258	329	477	224	338	433
სლოვენია	147	194	279	168	230	290

წყარო: ევროსტატი (2012)

# სოფლის მეურნეობის დარგების მხარდაჭერის ღონისძიებები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობები სოფლის მეურნეობასა და სურსათის სექტორში არსებული პრობლემების მოგვარებას გარდამავალი პერიოდის დასაწყისიდანვე შეუდგნენ. ინტერვენციების პირველი ფაზა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებზე მყისიერ რეაგირებას ითვალისწინებდა, ფერმერებისთვის პირველადი დახმარების და ძირითადი საწარმოო საშუალებების უზრუნველყოფის გზით. მეორე ფაზა კომერციალიზაციის მთავარი შეზღუდვების მოხსნისკენ იყო მიმართული. ახლა, ამ ქვეყნების ამოცანაა სოფლის მეურნეობის და სურსათის სექტორის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას ევროკავშირი სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის შესაბამისად, ორფაზიანი სისტემის გამოყენებით უწყობს ხელს. პირველი ფაზა ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ჩამოყალიბებას და შემოსავლების გენერირებას. ამ მხარდაჭერის მთავარი მექანიზმი პირდაპირი დაფინანსებაა, რომელიც არ არის მიბმული რომელიმე კონკრეტული პროდუქტის წარმოებასთან. მეორე ფაზა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტულობის ამაღლებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის შესაძლებლობების ზრდას სოფლის განვითარების პროგრამის მეშვეობით. ეს უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრალური საკითხი.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სოფლის მეურნეობის და სურსათის სექტორებს აფინანსებდნენ ეროვნული ბიუჯეტებიდან და ევროკავშირში გაწევრიანების წინ მიღებული დახმარებიდან. ზოგმა ქვეყანამ უფრო წარმატებით შეძლო ტრანსფორმაცია, ზოგმა – ნაკლებად. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ძირითადად პირველი ფაზის ღონისძიებებს იყენებდნენ, რომლებიც კონკურენციის ზრდასა და სოფლის განვითარებას ნაკლებად უწყობს ხელს მაშინ, როდესაც მეორე ფაზის ღონისძიებები მდგრადი და კონკურენტული სოფლის მეურნეობის განვითარებას უწყობს ხელს. ეს უკანასკნელი არ ითვალისწინებს ფერმერების პირდაპირ დაფინანსებას, თუმცა გრძელვადიანი კონკურენციის საფუძველს ქმნის და ამ ღონისძიებების შედეგად ბენეფიციარების უფრო ფართო სპექტრი სარგებლობს გრძელვადიან პერსპექტივაში.

ქვეყნებმა, რომლებმაც პირველი ფაზის ღონისძიებები გამოიყენეს მეორე ფაზის ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უფრო წარმატებით შეძლეს ტრანსფორმაცია, ვიდრე იმ ქვეყნებმა, რომლებიც ძირითადად პირველი ფაზის ღონისძიებებს იყენებდნენ. გარდა ამისა, შედარებით წარმატებულმა ქვეყნებმა თავიანთი მხარდაჭერის პოლიტიკა კონკურენციის გაძლიერებისკენ მიმართეს და განსაკუთრებული ყურადღება მცირე ზომის, ფრაგმენტირებული მეურნეობების პრობლემის დაძლევის მიანიჭეს, რისთვისაც კომერციალიზაციის გაძლიერების მექანიზმები დანერგეს. იმ ქვეყნებში, სადაც ძირითადად პირველი ფაზის ღონისძიებებს იყენებდნენ, პოზიტიური ცვლილება იყო ის, რომ ამ ქვეყნებმა შეწყვიტეს მხარდაჭერის ღონისძიებების რომელიმე კონკრეტული პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირება, გადავიდნენ ჰექტრების და სულადობის მიხედვით დაფინანსების სქემაზე და მხარდაჭერის ეს ღონისძიებები ისეთ საკითხებს დაუკავშირეს, როგორებიცაა სურსათის უვნებ-

ლობა, ჯიშების გაუმჯობესება, ხარისხი და სხვა. ამან შესაძლებელი გახადა სუბსიდიების მიმართვა მომხმარებელთა დაცვის და კონკურენტულობის გაუმჯობესებისკენ.

სოფლის დაბალანსებული ზრდის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა სოფლის განვითარებაში ინვესტირებას ენიჭება. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში სოფლის განვითარების მხარდაჭერა უმთავრესად იზრდებოდა ევროპული ინტეგრაციის და ევროკავშირში გასაწევრიანებლად ინსტიტუციური და იურიდიული ჩარჩოს ჰარმონიზების მხარდაჭერის მეშვეობით. თუმცა სოფლის განვითარების დახმარების არსებული ღონისძიებების ხელმისაწვდომობა და მოცულობა ხშირად ძალიან შეზღუდულია, განსაკუთრებით, მცირე ზომის ფერმერებისთვის; ისინი ხშირად პროდუქტის სუბსიდიების სხვადასხვა ელემენტს შეიცავენ და მათი მართვა არ არის გამჭვირვალე.

## მხარდაჭერის ღონისძიებები - ღვინო და ყურძენი

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში მხარდაჭერის ღონისძიებები მევენახეებისა და მეღვინეებისთვის არის ხელმისაწვდომი. შემოსავლის მხარდაჭერა მევენახეებს ჰექტრების მიხედვით ეძლევა და არ არის მიბმული კონკრეტული პროდუქტის მოცულობასთან. ამ დახმარების მისაღებად, მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული უნდა იყოს და ფართობის დადგენილ მინიმალურ ზღვარს უნდა აკმაყოფილებდეს.

საღვინე ჯიშის ვაზის მწარმოებლების მომხმარებლები ღვინის ქარხნები და ყურძნის ექსპორტიორები არიან. ვერტიკალური ჯაჭვის და დამატებითი ღირებულების შექმნის ხელშესაწყობად, მთავრობა მევენახეებს ეხმარება თანხით ღვინის ქარხნებისთვის მიყიდულ თითოეულ კილოგრამ ყურძენზე; თანხის გადახდა შეიძლება ასევე თითოეული ლიტრი ღვინის მიხედვით, რადგან ჩამოსასხმელი ღვინის გაყიდვა ვაჭრობის გავრცელებული ფორმაა. მთავრობა ხელს არ უწყობს ყურძნის ექსპორტს. შედეგად, ექსპორტის მოცულობა შემცირდა, რადგან მევენახეებისთვის უფრო მიმზიდველი მოსავლის ღვინის ქარხნებში ჩაბარებაა, ვიდრე ექსპორტირება მიუხედავად იმისა, რომ მევენახეებისთვის თანხის გადახდა გვიანდება მაშინ, როდესაც ექსპორტის შემთხვევაში, ისინი თანხას პროდუქტის გაყიდვისთანავე იღებენ. ჩვეულებრივ, მევენახეები მთლიანი თანხის სუბსიდირებულ ნაწილს ღვინის ქარხნებში ყურძნის ჩაბარებისთანავე იღებენ, ხოლო დარჩენილ ნაწილს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეღვინეებს თანხას საბოლოო მომხმარებლები გადაუხდიან.

მეორე მხარდაჭერის ღონისძიება, რომელიც მევენახეებისთვის არის ხელმისაწვდომი, ახალი ვენახის გაშენების წახალისებაა. ამაში მათ დაფინანსება ჰექტრების მიხედვით ეძლევათ. ამ მხარდაჭერის ღონისძიების მისაღებად ორი აუცილებელი პირობის დაკმაყოფილება საჭიროა: მიწა რეგისტრირებული უნდა იყოს, ხოლო მისი ფართობი დადგენილ მინიმალურ ზღვარს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ ღონისძიების შედეგად ვენახების ფართობი წლიური 1,000-დან 2,000 ჰა-მდე გაიზარა, ხოლო ყურძნის წლიური მოსავალი - 7%-დან 11%-მდე.

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია სერტიფიცირებული უვირუსო ნერგების იმპორტიორია. ყოველწლიურად ქვეყანას 1,000,000 უვირუსო ნერგი შემოაქვს. სერტიფიცირებული უვირუსო ნერგების ადგი-



ლობრივი წარმოების სტიმულირებისათვის მთავრობამ მხარდაჭერის შესაბამისი ღონისძიებები შეიმუშავა; ნერგების მწარმოებლები თითო ძირ ნერგზე სუბსიდიას ღებულობენ, თუ მათი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია და დადგენილ მინიმალურ ზღვარს აკმაყოფილებს. ამ ღონისძიების შედეგად სერტიფიცირებული უვირუსო ნერგების იმპორტი და უცხოური ვალუტის გადინება თანმიმდევრულად შეამცირა.

მევენახეებს ევროკავშირში გაწევრიანებისწინა დახმარების მიღებაც შეუძლიათ. ამ დახმარების მისაღებად, დახმარების მაძიებელს მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული უნდა ჰქონდეს ან იგი კოოპერატივის წევრი უნდა იყოს. ამ ინსტრუმენტის ფარგლებში არსებული დახმარების ღონისძიებები ითვალისწინებს: (i) ავტომატიზაციის და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობას, (ii) არსებული ვენახების განახლებას (ვენახების 60% 15 წელზე მეტისაა), და ტრადიციული ჯიშების ხარისხიანი და უვირუსო ნერგებით ჩანაცვლებას; და (iii) სხვადასხვა ინფრასტრუქტურისა და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობას.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, ღვინის ექსპორტი იზრდება; უმჯობესდება ღვინის ხარისხიც. ჩამოსასხმელი ღვინის ექსპორტს ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის ექსპორტი ანაცვლებს; ბოლო წლებში ამ უკანასკნელის ექსპორტი მნიშვნელოვნად მატულობს, ხოლო ჩამოსასხმელი ღვინისა მცირდება. ღვინის ქარხნები ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებებით სარგებლობენ, რაც ითვალისწინებს შეფუთვის ხარჯების ნაწილობრივ სუბსიდირებას. ამ დახმარების მისაღებად, ღვინის ქარხანას ექსპორტის გამოცდილება უნდა ჰქონდეს. სხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს შორის, რომლებითაც ღვინის ქარხნები სარგებლობენ, არის მეღვინეობით დაკავებული მიკროსაწარმოების დახმარება და ახალი ღვინის ქარხნების შესაქმნელად მიწის გამოყოფა კონკურენტულ ფასად მისი შესყიდვის ან გრძელვადიანი იჯარით აღებისთვის. ღვინის ქარხნებისთვის ასევე ხელმისაწვდომია მხარდაჭერის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხარისხის გაუმჯობესება ორიენტირებული, მაგალითად, ხარისხის მონიტორინგი, შეფუთვა და ეტიკეტირება.

სამიზნე ქვეყნებსა და საქართველოში მევენახეობის მხარდაჭერის ღონისძიებების შედარება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ სამიზნე ქვეყნები ბევრად უფრო კომპლექსურ, ფუნდამენტურ ღონისძიებებს ახორციელებენ, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესებას, მოცულობის ზრდას, საერთაშორისო ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას. საქართველო მხოლოდ ყურძნის მოსავლის სუბსიდირებაზე იყო ფოკუსირებული, ღვინის ქარხნებისთვის ფინანსური დახმარების გაწევით და ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზარზე აქტიური რეკლამირებით.

## **მხარდაჭერის ღონისძიებები - ახალი ბოსტნეული და გადამუშავებული ბოსტნეული**

ყოფილი იუკოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში ბოსტნეულის მთლიანი წარმოება ბოლო 10 წლის მანძილზე იზრდება. მთავრობა პირდაპირ დახმარებას უწევს როგორც სათბურების ოპერატორებს, ასევე ღია მიწებში ბოსტნეულის მწარმოებლებს. გაწეული დახმარება პროდუქტზეა დამოკიდებული. მიწებში მოყვანილი ბოსტნეულის შემთხვევაში, მხარდაჭერის ეს ღონისძიება ბოსტნეულის თითქმის ყველა სახეობას ეხება, ხოლო

სათბურების შემთხვევაში, მხოლოდ ბოსტნეულის კონკრეტულ სახეობებს. დახმარება თითოეულ ჰექტარზე გაიცემა და არ არის მიზნული პროდუქციის მოცულობასთან. ასევე, მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს შორის კავშირების გასაუმჯობესებლად, მთავრობა შესყიდვის მხარდაჭერის ღონისძიებას ახორციელებს და დაფინანსებას გადამამუშავებელი საწარმოებისთვის ჩაბარებულ ყოველ კილოგრამ ბოსტნეულზე იძლევა. ეს ღონისძიება არ ვრცელდება იმ ფერმერებზე, რომლებიც ახალ ბოსტნეულს საექსპორტო ბაზრებზე ყიდიან. ამან გადამამუშავება გაზარდა და ახალი ბოსტნეულის ექსპორტი შეამცირა, ვინაიდან ფერმერებისთვის ექსპორტზე უფრო მიმზიდველი გადამამუშავებელ საწარმოებში ბოსტნეულის ჩაბარება აღმოჩნდა. ამ დახმარების მისაღებად მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული უნდა იყოს, ხოლო დათესილი მიწის ფართობი დადგენილ მინიმალურ ზღვარს უნდა აკმაყოფილებდეს. მინიმალური ფართობის ზომა მეტია ღია მიწოდორში წარმოების შემთხვევაში ვიდრე სასათბურე მეურნეობის შემთხვევაში.

პირდაპირი სუბსიდიების გარდა მთავრობა დამატებით დაფინანსებას გასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სექტორის განხორციელებისთვის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანისთვის. მთავრობა ასევე აფინანსებს იმ ხარჯების გარკვეულ ნაწილს, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანას და სერტიფიცირებას ესაჭიროება.

სასათბურე მეურნეობების ოპერატორებისთვის ხელმისაწვდომი დახმარება ითვალისწინებს არსებული პლასტიკატის და მინის სათბურების მოდერნიზებას, პლასტიკატის გვირაბების შუშის ნაგებობებით შეცვლას და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის, მათ შორის წვეთოვანი სარწყავი სისტემის და ავტომატიზაციის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, დახმარება ხელმისაწვდომია მოსავლის შემდგომ საშუალებებში ინვესტირებისთვის. ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი დახმარების სხვა ღონისძიებებს შორის არის გადამამუშავების საშუალებების ადგილზევე შექმნა და მათი მოდერნიზება.

ბოსტნეულის გადამამუშავებელ სექტორში 58 კომპანია მუშაობს. სექტორი ექსპორტზე ორიენტირებული და პროდუქციის თითქმის 70% საექსპორტო ბაზრებს მიეწოდება. მთავრობა გადამამუშავებლებს დახმარებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სტანდარტის (როგორებიცაა ISO, BRC, IFC და სხვა) განხორციელებაში, იმით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების განხორციელების და სერტიფიცირების ხარჯის ნაწილს ფარავს.

გადამამუშავებელი სექტორის მიერ ნედლი მასალის შესყიდვა ყოველწლიურად 15-30%-ით იზრდება, ხოლო პროდუქციის მოცულობა 20%-ით. გადამამუშავებულ პროდუქციაზე მოთხოვნა სტაბილურად მატულობს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ბაზრებზე.

ალბანეთში ბოსტნეულის წარმოებამ ყველაზე მაღალი ზრდა აჩვენა, ძირითადად სასათბურე პროდუქციის ხარჯზე. ძირითადი სტიმულები, რომლებმაც სასათბურე მეურნეობებს განვითარების ბიძგი მისცა, ბაზრის მოთხოვნა და თითოეული ჰექტარი მიწის ნაკვეთიდან შემოსავლის მიღების დიდი პოტენციალია. სასათბურე მეურნეობებისთვის მხარდაჭერის ღონისძიებები ითვალისწინებს ნავთობზე გათბობის სისტემის მშენებლის გათბობის სიტემით ჩანაცვლებას და ახალი პლასტიკური გადახურვების მოწყობას ოღონდ იმ პირობით, თუ სასათბურე მეურნეობის ფართობი აკმაყოფილებს დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

სამიზნე ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ახალი ბოსტნეულისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების ხელშეწყობის ღონისძიებები ბოლო 10-15 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. სამიზნე ქვეყნებთან მსგავსების გათვალისწინებით, რაც სოფლის მეურნეობის დარგების ერთგვაროვანი სტრუქტურით და პირველადი წარმოების ფრაგმენტაციით გამოიხატება, მიგვაჩნია, რომ მაკედონიასა და ალბანეთში განხორციელებული ღონისძიებები შესაფერისია საქართველოსთვის. ეს ღონისძიებები ითვალისწინებს სასათბურე მეურნეობების დახმარებას მათი მოდერნიზაციისა და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად.

## მხარდაჭერის ღონისძიებები - ხილი, კენკროვანი ხილი და ციფრუსები

ალბანეთში ხეხილი ფერმერთა თითქმის 80%-ს აქვს გაშენებული. ეს ქვედარგი ყველაზე სწრაფად იზრდება როგორც დამუშავებული მიწის ფართობის, ასევე მთლიანი მოსავლის მოცულობის თვალსაზრისით. მხარდაჭერის ღონისძიებები ითვალისწინებს ისეთ აქტივობებში განხორციელებული მთლიანი ინვესტიციის ნაწილობრივ დაფინანსებას დადგენილ ზედა ზღვრამდე, როგორებიცაა: (i) ხეხილის დარგვა (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ბალი, ატამი, თხილი და ციტრუსი), (ii) წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობა, (iii) ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის სერტიფიცირება და (iv) საირიგაციო ჭების მოწყობა.

ხორვატიაში საკმაოდ ბევრი ახალი მანდარინის ხეა, რომლებიც თანდათან მეტ მოსავალს იძლევა და პროდუქცია ყოველწლიურად იზრდება. მანდარინის მწარმოებლებს პირდაპირი დაფინანსება თითოეულ ჰექტარზე ეძლევათ. მწარმოებლები გასაყიდი ფასის სუბსიდირებითაც სარგებლობენ. მანდარინის მწარმოებლების მხარდაჭერის სხვა ღონისძიებებს შორის არის: (i) იაფი საწვავი, (ii) საოპერაციო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს მაქსიმუმ 12 წლიანი კრედიტების გაცემას 2-დან 4%-მდე წლიური განაკვეთით და უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებით არასახარბიელო რეგიონებისთვის; პლიუს გარანტია კრედიტის უზრუნველყოფის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; (iii) დაბალგანაკვეთიანი კრედიტები ხეხილის ბაღის გაშენებისთვის, მათ შორის მოსავლის აღების შემდგომი აქტივობებისთვის - ხილ- ბოსტნეულის შენახვა დაბალ ტემპერატურულ რეჟიმზე და ულტრა-მცირე ჟანგბადის (ULO) ტექნოლოგიის გამოყენებით (iv) დახმარება კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებაში დარეგისტრირებული და დღგ-ის გადამხდელი ოპერატორებისთვის; ეს დახმარება გამოიხატება აღჭურვილობის, მანქანა-დანადგარების, ნაგებობების, ხეხილის ბაღების გაშენების (ირიგაცია, ნერგები, მუშახელი და სხვა) და დადგენილ მინიმალურ ზღვარზე მეტი ფართობის მიწის დამუშავების ხარჯების თანადაფინანსებაში; (v) ინვესტიციები სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რესტრუქტურირების და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით - პირველადი წარმოების აღჭურვილობა; (vi) ინვესტიციები წარმოებასა და ირიგაციაში, ავტომატიზაციის, წვეთოვანი მორწყვის სისტემების და სეტყვისგან დამცავი ფარების ჩათვლით; (vii) ინვესტიციები სოფლის მეურნეობის და თევზის პროდუქტების გადამამუშავებასა და გაყიდვაში, ამ საქმიანობის რესტრუქტურირებისა და მათი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; (viii) სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განვითარება; და (ix) სოფლის ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაცია და განვითარება.

სერბეთში, ბოლო 10 წლის განმავლობაში, კენკროვანი ხილის მოყვანა მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების შემოსავლის სტაბილური წყარო და სოფლის მეურნეობის ზრდის მამოძრავებელი ძალაა. მთელი საწარმოო ჯაჭვი 80,000-ზე მეტ ფერმას, 250 ცივ საწყობს და 100 გადამამუშავებელ ქარხანას მოიცავს. მხარდაჭერის ღონისძიებები ძირითადად ითვალისწინებს მთლიანი ინვესტიციების ნაწილის დაფინანსებას დადგენილ ზედა ზღვრამდე. ეს ღონისძიებებია: (i) დიზელის საწვავის სუბსიდირება; (ii) დახმარება საერთაშორისო სტანდარტებისა და სერტიფიცირების (Global GAP, ISO 22000, ISO 14001, Organic, BRC, HACCP, სხვ.) განხორციელებაში; (iii) ახალი ხეხილის ბაღების გაშენების სტიმულირება - ნერგების ხარჯის ანაზღაურება იმ პირობით, რომ ხეხილის ბაღის ფართობი დადგენილ ზღვარს აკმაყოფილებს, ხოლო ნერგების განსაზღვრული რაოდენობა სერტიფიცირებულია; (iv) ახალი აღჭურვილობის და მანქანა-დანადგარების შეძენის სტიმულირება; (v) კენკროვანი ხილის პლანტაციების გაშენების სტიმულირება განსხვავდება იმის მიხედვით, ერთი სახეობის კენკროვანი ირგვება თუ სხვადასხვა სახეობის კენკროვანი და ასევე, დარგვის ტემპის მიხედვით; (vi) კენკროვანი ხილის წარმოება-გადამამუშავების ავტომატიზაციაში ინვესტირების სტიმულირება - მანქანა-დანადგარების შემდეგი სამუშაოებისთვის: დარგვა და ნარჩენების გატანა; მცენარეების დაცვა დაავადებებისგან, მავნებელი მწერებისგან, სიცივისგან; მორწყვა; მოსავლის აღება; სასათბურე მეურნეობები; რეცხვა; კალიბრირება; სორტირება; შენახვა; შეფუთვა; გამოშრობა; შესანახი ყუთები; სამაცივრე მოწყობილობები და ცივი საწყობის აღჭურვილობა; და (vii) გაყინული ჟოლოს საჯარო საწყობებში შენახვის ხარჯის სუბსიდირება იმ ფერმერებისთვის, რომელთა მიწის ნაკვეთი ფართობის დადგენილ ზღვარს აკმაყოფილებს.

ხილის წარმოების მხრივ საქართველოში არსებული მდომარეობა ბოსტნეულის წარმოებაში არსებულს ჰგავს. მხოლოდ ციტრუსები, ძირითადად, მანდარინი მოხვდა სამთავრობო პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის. ხორვატიის გამოცდილება მანდარინის წარმოებაში ძალიან ღირებულია საქართველოსთვის. საქართველოში მანდარინის ქვედარგი საკმაოდ ჩამორჩება საერთაშორისო ბაზრებისთვის მისაღები ხარისხის სტანდარტებს. სუბსიდირება და/ან ფინანსური დახმარების სხვა სახის ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს დადებით შედეგს თუ მოსავლის ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდება. ამიტომ, ამ ქვედარგის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია მხარდაჭერის ისეთი სპეციფიკური ღონისძიებების განხორციელება, როგორებიცაა ფერმერთა განათლება, კოოპერაციის წახალისება, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბაზის გაუმჯობესება.

## მხარდაჭერის ღონისძიებები - მეცხოველეობა, რძის/საქონლის ხორცის წარმოება

სერბეთში მწარმოებლებს დამატებითი დაფინანსება რძის საწარმოების მეშვეობით ეძლევა. ეს დაფინანსება ჩაბარებული რძის ოდენობის მიხედვით გაიცემა და განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ რეგიონში იწარმოება რძე - მაღალმთიან რეგიონებში დაფინანსება მეტია, ხოლო დაბლობ რეგიონებში - ნაკლები. მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც ფერმერებს სტიმულს აძლევს საქონლის გენეტიკა გააუმჯობესონ, შემდეგია: (i) დაფინანსება ჰეკირების საფუძველზე, გარკვეული ოდენობის სუბსიდია ერთ რეგისტრირებულ ძროხაზე იმ პირობით, რომ დაფინანსების მაძიებლის ნახირის სულადობა რაოდენობის დადგენილ ზღვარს

აკმაყოფილებს, და (ii) სუბსიდია ახალგაზრდა ხარების გამოკვებაზე - რეგისტრირებული საქონელის მფლობელს, გადაეცემა გარკვეული ოდენობის ფულადი თანხა. დახმარების მიღება აპლიკანტს შეუძლია იმ შემთხვევაში თუ საქონელი საკუთარ ნახირში არის დაბადებული ან მისი კუთვნილი საქონელი, შემდგომში სახორცედ გამოყენებისათვის იმყოფება ფერმაში არანაკლებ 180 დღე.

ალბანეთში, მართალია, საქონლის სულადობა შემცირდა, მაგრამ რძის წარმოება გაიზარდა გაუმჯობესებული ტექნოლოგიების, სელექციის, კვების და ზოგადად საქონლის ჯანმრთელობაზე ზრუნვის შედეგად. გაიზარდა საქონლის საკვების წარმოებაც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მეცხოველეობის სექტორის მნიშვნელობა მატულობს. დარგის მხარდაჭერის ღონისძიება ითვალისწინებს სუბსიდიას ერთ მეწველ ძროხაზე/თხაზე იმ ნახირიდან, რომლის სიდიდეც სულადობის დადგენილ ზღვარს აკმაყოფილებს; ასევე, აუცილებელი პირობებია, რომ საქონელი იყოს იდენტიფიცირებული (საიდენტიფიკაციო ფირფიტა ჰქონდეს ყურზე მიმაგრებული) და რეგისტრირებული და მფლობელი რძის გაყიდვისას ანგარიშფაქტურებს იყენებდეს.

საქართველო რძისა და ხორცის ნაწარმის წმინდა იმპორტიორია. მხოლოდ ფრინველის ხორცი და კვერცხი აკმაყოფილებს ნაწილობრივ ადგილობრივ მოთხოვნას. ამ ქვედარგის სტიმულირებისთვის ისეთი საბაზისო საკითხების მოგვარებაა საჭირო, როგორებიც არის საქონლის რეესტრის წარმოება და ვეტერინარული სამსახურის განვითარება. ამ შემთხვევაში სერბეთი და ალბანეთი საქართველოსთვის შეიძლება მისაბაძი მაგალითები იყოს. 1990-იანი წლების ომის შემდეგ, რამაც მეცხოველეობა მნიშვნელოვნად შეამცირა, სერბეთის თავიდან მოუხდა ამ დარგის განვითარება დაჯიშების გაუმჯობესებაზე იყო ფოკუსირებული.

## დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოსთვის

### ზოგადი რეკომენდაციები

უნდა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის მრავალდონიანი სტრატეგია. საერთაშორისო გამოცდილების წარმატებული და წარუმატებელი მაგალითების გაანალიზების საფუძველზე, რეკომენდებულია სტრატეგიის შემუშავება შემდეგ სამ ურთიერთდაკავშირებულ დონეზე:

- 1. საბაზისო დონე** - მისიის და ხედვის განსაზღვრა. გრძელვადიანი მიზნების დასახვა სოფლის განვითარების პოლიტიკასთან ერთად.
- 2. სექტორული დონე** - მათ შორის, პირველადი წარმოება, გადამუშავება (პირველადი და მეორადი), საწარმოო ჯაჭვის განვითარება, რესურსული ბაზის გაუმჯობესება (მათ შორის, ფინანსური) და ბაზრის მონაწილეობისთვის ინფორმაციის მიწოდება, ფერმერთა რეესტრის წარმოება და ფორმალიზებული მიწის ბაზრის ჩამოყალიბება, სასაქონლო ბაზრის განვითარება, საერთაშორისო ბაზრებში ინტეგრირება და პოზიციონირება, ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური ბაზის განვითარება.

3. **დარგობრივი დონე** – კონკურენტული ანალიზი, სიტუაციური ანალიზი (ანუ, SWOT – ძლიერი და სუსტი მხარეების და შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი) დარგების მიხედვით, ქმედითი სტრატეგიების და დეტალური სამოქმედო გეგმების შემუშავება თითოეული დარგისთვის, სადაც ეს შესაძლებელია სუბსიდირების თავიდან აცილება.

სტრატეგიის შემუშავება სამ უმთავრეს მიზანს უნდა ეფუძნებოდეს: პირველადი წარმოების განვითარება, ეფექტიანი გადამამუშავებელი ინდუსტრია და სავაჭრო ინფრასტრუქტურა.

**დიაგრამა #1: სოფლის მეურნეობა - საბაზისო ელემენტები**



ამ პირამიდის ნებისმიერი სეგმენტი სხვების განვითარების მამოძრავებელი ძალა შეიძლება გახდეს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სამივე სეგმენტზე ფოკუსირება. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიღწევებისა და წარუმატებლობების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საქართველომ კომპლექსური მიდგომა უნდა აირჩიოს და მხარდაჭერის ისეთი ღონისძიებები შეიმუშაოს, რომელთა მეშვეობითაც დახმარება და-ბალანსებულად იქნება ფოკუსირებული მცირე ზომის ფერმერების კომერციალიზაციაზე, წარმოებაზე, გადამამუშავებაზე, მომსახურების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე, სავაჭრო მომსახურების გაფართოებაზე და სოფლად არასაფერმო შემოსავლის გენერირების აქტივობების განვითარებაზე.

სოფლის მეურნეობის რესურსული ბაზა საქართველოში სამიზნე ქვეყნების ბაზას ჰგავს. ამავე დროს, საქართველოში არაკონკურენტულ დარგებზე ფოკუსი შეიმჩნევა ყველა დაინტერესებული პირის მხრიდან, მათ შორის მთავრობის და ფერმერების მხრიდან. ზოგადად, პირველადი წარმოების წინაშე არსებული მთავარი გამოწვევა არის ის, თუ როგორ გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თითოეულ ჰექტარზე. ამ გამოწვევის დასაძლევად საჭიროა:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ტექნოლოგიური ბაზის განვითარება;
- ფერმერებისთვის საგანმანათლებლოს მომსახურების უზრუნველყოფა.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც პირველადი წარმოების ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს, მიწის ფრაგმენტაციაა. ეს პრობლემა ყველა სამიზნე ქვეყანას ჰქონდა (თუმცა ფრაგმენტაციის ხარისხი საქართველოში ბევრად მაღალია). აუცილებელია ფერმების რეესტრის წარმოება და ფორმალიზებული მიწის ბაზრის ჩამოყალიბება. მთავრობამ დახმარება უნდა გაუწიოს ფერმერთა კოოპერატივების ან სხვა ფორმის კოოპერატივების განვითარებას.

სექტორის კომერციალიზაცია განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. საწარმოო ჯაჭვის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მარტივი სტრუქტურა დომინირებს განსაკუთრებით ხილისა და ბოსტნეულის წარმოებაში.

**დიაგრამა 2: მარტივი ჯაჭვი**



კომპლექსური, დახვეწილი საწარმოო ჯაჭვის სტრუქტურის ჩამოყალიბება ზოგიერთი დარგის ძალიან სწრაფ განვითარებას შეუწყობს ხელს.

**დიაგრამა 2: კომპლექსური ჯაჭვი**



ასეთი სტრუქტურის მთავარი ნაკლოვანება შეიძლება საბოლოო მომხმარებლისთვის ფასების ზრდა იყოს მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ თითქმის ყველა შემთხვევაში, მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომიის ეფექტი ასეთი სცენარის განვითარებას აფერხებს. ამავე დროს, კომპლექსური საწარმოო ჯაჭვი განვითარების უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნის, როგორებიცაა:

- ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გაუმჯობესება. სპეციალიზებული ბიზნესებისთვის ბევრად ადვილია ფინანსური რესურსების მოზიდვა. უმეტეს შემთხვევაში მცირე ფერმერები ბანკებიდან ფინანსების მოზიდვას ვერ ახერხებენ, მაგრამ ამის გაკეთება მათ ირიბად, მოვაჭრეებისა და დისტრიბუტორებისგან შეუძლიათ.

- სასაქონლო ბაზრების ჩამოყალიბების შესაძლებლობები. ჰეჯირების აქტივობები. ჰეჯირება ძლიერი სტიმული შეიძლება აღმოჩნდეს ფერმერებისთვის, რომ განვითარდნენ და ასევე, სუბსიდირების კარგი ალტერნატივა იყოს.
- საერთაშორისო ვაჭრობა. მოვაჭრეები არ არიან შეზღუდული ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მიწოდებული საქონლით. მათ შეუძლიათ საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირება, საქონლის იმპორტირება, რე-ექსპორტირება და ექსპორტირება.

## საერთო სტანდარტები და კლასიფიკაცია

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დარგების კლასიფიცირება მოცულობის, პროდუქტიულობის, ფინანსური შედეგების მიხედვით პოტენციური ინვესტორებს ძალიან ღირებულ ინფორმაციას აწვდის. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში, ასეთი კლასიფიკაციის იერარქიის ნიმუშია ნაჩვენები:



ასეთი კლასიფიკაცია პოტენციურ ინვესტორებს ადგილობრივი ბაზრის საბაზისო მონაცემებს მიაწვდის, რომელსაც მსგავს საერთაშორისო მონაცემებს შეადარებენ. ასეთი კლასიფიკაციის და სტანდარტიზაციის



მთავარი შედეგი გადაწყვეტილების მიღების გამარტივებაა. ფერმერები შეძლებენ, უფრო ზუსტად გააკონტროლონ და თვალყური ადევნონ თავიანთ ეფექტიანობას, ხოლო პოლიტიკის შემუშავებლები მიიღებენ დამატებით ინფორმაციას სპეციფიკური ტენდენციების, ჩავარდნების და სხვა კომპონენტების გამოსავლენად. ამ კლასიფიკაციის განვრცობა დამატებითი ფინანსური მონაცემებით და სხვა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება. საბაზისო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

## დარგების დონა

საერთო სტრატეგიის ელემენტები ყველა დარგს უნდა ეხებოდეს. სამიზნე ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის, ევროკავშირის ზოგი ახალი წევრი ქვეყნის გამოცდილების და ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი რეკომენდაციების საფუძველზე, შემოთავაზებულია მხარდაჭერის ღონისძიებები ღვინის და ყურძნის, ახალი ბოსტნეულის და ბოსტნეულის გადამუშავების, ხილის, კენკროვანი ხილის და ციტრუსის, და მეცხოველეობის და რძის/ხორცის წარმოებისთვის. ეს ღონისძიებები, ძირითადად, საერთოა ყველა აღნიშნული დარგისთვის, მაგრამ სპეციფიკურ საჭიროებებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი:

- მცირე ზომის ფერმერების დახმარება კოოპერატივების ან სხვა ფორმის კოოპერაციული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, რათა მცირე ფერმერებმა ისარგებლონ მასშტაბის ზრდის ეკონომიის ეფექტით და შეძლონ ბაზრებში უკეთ ინტეგრირება:
  - ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა მდგრადი ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროცესების განსავითარებლად;
  - ხელშეწყობა ფერმერთა ჩამოყალიბებულ ჯგუფებსა და საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურებებს (უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის ხელმისაწვდომობის ჩათვლით) შორის მდგრადი კავშირების დამყარებაში, რათა გაუმჯობესდეს წარმოება, მოსავალი და მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობის წარმართვა;
  - კომერციული აქტივობების დაჩქარების მიზნით საინვესტიციო დახმარების გაწევა მწარმოებელთა ჯგუფებისთვის მათი საწარმოო ინფრასტრუქტურის (წვეთოვანი მორწყვის სისტემები, საფრქვეველები, მცირე ზომის მანქანა-დანადგარები, და სხვა) გაუმჯობესების მეშვეობით, მათ შორის დახმარება გადამუშავების საშუალებებისთვის;
  - მწარმოებლების დახმარება ხარისხის უზრუნველყოფის სქემების შემუშავებასა და გამოყენებაში და გადამუშავების, შეფუთვის და ეტიკეტირების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაში;
- მევენახეთა და მეღვინეთა ჯგუფებთან, ხილის/ბოსტნეულის მწარმოებელთა და გადამამუშავებელთა ჯგუფებთან, საწარმოო რესურსების მიმწოდებლებთან, მეცხოველეების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელთა ჯგუფებთან, მყიდველებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა, რათა გაუმჯობესდეს ფინანსების ხელმისაწვდომობა საბრუნავი კაპიტალის, ინვრსტიციების, საწარმოო რესურსების შესყიდვისა და ექსპორტის დაფინანსებისთვის;
- პირდაპირი დახმარების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც არ იქნება მიზმუ-

ლი კონკრეტულ პროდუქციასთან, მაგრამ მიბმული იქნება მენეჯმენტის და კონკურენციის გაუმჯობესებასთან, მომხმარებლის დაცვასთან და ბაზართან;

- მწარმოებელთა და გადამამუშავებელთა ჯგუფებთან ერთად პროდუქტის ხარისხის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, ფასის ხარისხის სქემების განხორციელება და მხარდაჭერის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება მწარმოებლების სტიმულირებისათვის;
- მევენახეობაში - სანერგებისთვის დახმარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება სერტიფიცირებული უვირუსო ნერგების წარმოების მიზნით, და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება;
- საჯარო-კერძო პარტნიორობების მეშვეობით ღვინის ბოთლის ადგილობრივი წარმოების გაუმჯობესების, ხილის და ბოსტნეულისთვის ხარისხიანი ქილების და შეფუთვის წარმოების დაწყების ხელშეწყობა;
- საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურების მეშვეობით დაინტერესებული მხარეების ზედა და შუა რგოლის მენეჯმენტის უნარების და მათი შესაძლებლობების გაუმჯობესება გადამამუშავებაში, შესყიდვებში, ფინანსურ მართვასა და მარკეტინგში;
- ვეტერინარული საჯარო მომსახურების გაძლიერება სპეციფიკური ინტერვენციების მეშვეობით;
- მცენარეთა დაცვისა და ირიგაციის საჯარო მომსახურების გაძლიერება სპეციფიკური ინტერვენციების მეშვეობით;
- ექსპორტის სამარკეტინგო პროგრამების შემუშავება და მეღვინეების დახმარება შემდეგ სფეროებში: საერთაშორისო ბაზრობებსა და კონკურსებში მონაწილეობა; ბრენდის იმიჯის შექმნა; სასწავლო ტურები ღვინის ინსტიტუტებსა და ღვინის ქარხნებში; სარეკლამო მასალების და მომხმარებლებისათვის სასარგებლო ინფორმაციის შემუშავება; ავტორიტეტულ დისტრიბუტორებსა და მყიდველებთან კავშირების დამყარება; ვაზის ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაცია; და დახმარება საქონლის საცდელი პარტიის მიწოდებასა და შემდგომ ქმედებებში.
- არასაფერმო შემოსავლის გენერირების ხელშეწყობა, რომლებიც ყურძნის წარმოებასთან და ღვინის დამზადებასთან არის დაკავშირებული, სხვა ქვეყნების გამოცდილების უფრო სიღმისეული შესწავლის მეშვეობით (სასწავლო ტურები, გაცვლითი პროგრამები, სხვ.); საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში საინვესტიციო დახმარება.

შებლუდული რესურსების პირობებში, წარმატების მთავარი ფაქტორი პრიორიტეტების სწორად შერჩევაა. პრიორიტეტების შერჩევა უნდა მოხდეს სექტორის დარგების კონკურენტული ანალიზის საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში. დახმარება, პირველ რიგში, იმ დარგებს უნდა გაეწიოს, რომლებსაც ზრდის დიდი პოტენციალი აქვთ და რომლებიც მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს სექტორის განვითარებას. ეს დახმარება ფოკუსირებული უნდა იყოს გამარჯვებულებზე - კონკრეტულ დარგების წარმატებულ მოთამაშეებზე.

წინამდებარე ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები და მხარდაჭერის ღონისძიებები სტრატეგიულ ყველა დონეს ფარავს, თუმცა ჩამონათვალი არ არის სრული და დამატებითი კვლევების საფუძველზე უნდა გაფართოვდეს. საქართველოში ამჟამად მიმდინარე ან დაგეგმილი სოფლის მეურნეობის პროგრამები საერთო სტრატეგიასთან უნდა იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაძლო საუკეთესო გავლენა სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.





ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. 85/24. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.  
ტელ/ფაქსი: +995 32 2 207 305  
e-mail: [info@eprc.ge](mailto:info@eprc.ge)  
[www.eprc.ge](http://www.eprc.ge)